კურს „დემოკრატია და მოქალაქეობის“

ფარგლებში შესრულებული სტუდენტთა საუკეთესო სამოქალაქო ჩართულობის პროექტების კრებული

2016

ეს გამოცემა შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით საარჩევნო პროცესების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და იგი არ ასახავს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of Civic Education Lecturers Association (CELA), IFES, USAID or the United States Government.

კრებულზე მუშაობდნენ:

თამარ ქარაია
ეკა დარბაიძე
კახაბერ ურიადმყოფელი
თინათინ მაღედანი
თამთა ჭრიკიშვილი
მარიამ გულიაშვილი

პროექტის ხელმძღვანელი

თამარ ქარაია
CELA აღმასრულებელი დირექტორი

© სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია. (CELA), 2016
ყველა უფლება დაცულია. All rights reserved.

წინასიტყვაობა

სამოქალაქო განათლების კურს „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სწავლება საქართველოს უნივერსიტეტებში 2011 წლიდან დაიწყო ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) ხელშეწყობით. თავდაპირველად, მასში ჩაერთო თბილისის 6 უნივერსიტეტი. დღესდღეობით, პარტნიორობა საქართველოს მასშტაბით 27 უმაღლეს სასწავლებელს მოიცავს[1].

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს აქტიური მოქალაქისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ამისათვის, სასწავლო მასალის გარდა სტუდენტებს უწევთ სამოქალაქო ჩართულობის პროექტების განხორციელება. სტუდენტები ირჩევენ პრობლემურ საკითხებს, სწავლობენ პრობლემას კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით და ამუშავებენ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიულ გზებს, ირჩევენ მათ შორის საუკეთესოს და ახორციელებენ. კურსის სწავლების მანძილზე (2011-2016) წლებში ბევრი მასალა დაგროვდა და საჭიროდ ჩავთვალეთ გამოცდილების გაზიარების მიზნით თავი მოგვეყარა სტუდენტთა საუკეთესო სამოქალაქო ჩართულობის სამოქმედო პროექტებისათვის.

აღნიშნული პროექტები შეირჩა რამდენიმე ინდიკატორის გათვალისწინებით:

1. რამდენად მოახერხეს სტუდენტებმა საკითხის პრობლემურობისა და აქტუალურობის გამოკვეთა;
2. მისი მოგვარების ალტერნატიული გზების დასახვა;
3. გუნდური მუშაობა;
4. მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება;
5. პრობლების გადაჭრაში სხვადასხვა აქტორების ჩართვა;
6. შედეგზე ორიენტირება.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული კრებული დაეხმარება სტუდენტებს, პროფესორებს და სხვა სამოქალაქო განათლების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

[1] აღნიშნული კურსი ისწავლება ასევე ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტირების სკოლაში, თუმცა მას სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე ინტენსიური კურსის სახე აქვს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა **3**

ნაწილი I **6**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები **6**

სპეციალურ საჭიროებათა მქონე მოზარდების განათლების პრობლემა საქართველოში 7

შშმ პირების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა 9

ყრუ და სმენადაქვეითებული პირები 11

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სოციალიზაცია – ინკლუზიური განათლება 13

ჩვენ ყველანი ერთნი ვართ 15

ნაწილი II **17**

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია **17**

ეთნიკური უმცირესობებისათვის სამოქალაქო განათლების კუთხით ცნობიერების ამაღლება 18

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში 21

თსუ-ის სტუდენტური გზამკვლევი ეროვნული უმცირესობებისათვის 24

ნაწილი III **27**

საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება **27**

ბიბლიოთეკა უსინათლოებისთვის 28

ღია ბიბლიოთეკა 30

Bridge between each other 32

ნაწილი IV **34**

საქველმოქმედო პროექტები **34**

ერთად შევცვალოთ მომავალი 35

ერთად ვებრძოლოთ ლეიკემიას 37

მარტივი ქველმოქმედება 38

გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე 40

სამოქალაქო ცნობიერების კვალდაკვალ 42

ნაწილი V **44**

ქალაქი და მოქალაქეები **44**
სუფთა თბილისი 45
ბათუმის ტურისტული გზამკვლევი 47
ნაწილი VI **49**
ადამიანის უფლებათა დაცვა **49**
გენდერული პრობლემატიკა საქართველოში (ქალთა საკითხი) 50
მომხმარებელთა უფლებების დაცვა 52
პრობაციონერთა ინტეგრაცია საზოგადოებაში 56
ნაწილი VII **60**
მოსწავლის მძიმე ჩანთა 59
სამოქალაქო ჩართულობის ამაღლება რუსთავის სკოლის მოსწავლეებში 61
გონების თვალი 64
ტრეინინგ-სემინარი: „ნატო – მითი თუ რეალობა?!“ 66

ნაწილი I

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები

სპეციალურ საჭიროებათა მქონე მოზარდების განათლების პრობლემა საქართველოში

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA

***პროექტის ავტორები**: ბექა კირტავა,*

გვანცა ვახტანგაშვილი, ნინო როსტიაშვილი

***პროექტის ხელმძღვანელი:** თინა ნორაკიძე*

2015 წელი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) მოზარდების სწორი აღზრდა, მათთვის საჭირო განათლების მიცემა და სოციუმის ნამდვილ წევრებად ჩამოყალიბება, უდავოდ, ყველა დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

ამ გადმოსახედიდან თემა უაღრესად აქტუალურია რიგი მიზეზების გამო:

1. საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის საჭიროებების მქონე მოზარდები შეიძლება იყვნენ ჩართულნი ინკლუზიური განათლების პროგრამაში და კონკრეტულად რომელი ტიპის ინკლუზიის (სრული თუ ნაწილობრივი) პროგრამა მიესადაგება თითოეულ მათგანს.
2. ქვეყანაში არსებული სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
3. არის შემთხვევები, როდესაც შშმ მოზარდთა მიმართ თანაკლასელები, მათი მშობლები და, ზოგადად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ავლენს აგრესიულ დამოკიდებულებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროექტი მიზნად ისახავდა არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზების უკეთ შესწავლასა და შეძლებისდაგვარად, საზოგადოებისთვის მოცემულ საკითხზე უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდებას.

პროექტის მიმდინარეობაში ჩართულები იყვნენ შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი “აისი” და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA).

პროექტის ფარგლებში ჯგუფი გაეცნო საქართველოს ინკლუზიური განათლების არსებულ პროგრამას, დაესწრო UNICEF-ის საჯარო დისკუსიას ბავშვთა უფლებებზე Frontline Georgia-ში, ასევე მივაკითხეთ შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრ „აისს“ და გავესაუბრეთ მის ხელმძღვანელს, ინკლუზიური განათლების ექსპერტს, პროფესორ ნანა ცარციძეს. დასკვნით ეტაპზე გაიმართა რამდენიმე პრეზენტაცია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) და გამოქვეყნდა სტატია ინგლისურენოვან გაზეთ Georgia Today-ში.

განხორციელებული აქტივობების შედეგად გამოიკვეთა შშმ მოზარდთა განათლების პრობლემის გამომწვევი რამდენიმე მთავარი ფაქტორი.

- საქართველოში ყველა შშმ ბავშვი ვერ ერთვება ე.წ. „ადრეული ჩარევის პროგრამაში“, რადგან ის რეგიონებში არ არის ხელმისაწვდომი.
- არსებობს არაერთი უსაფუძვლო შეხედულება, რომ შშმ ბავშვები ხელს უშლიან თანაკლასელებს სწავლაში, აძლევენ სხვებს ცუდ მაგალითს და ა.შ.
- სკოლამდელი განათლების საჯარო ინსტიტუტები სრულიად მოუმზადებელნი არიან შშმ ბავშვთა აღსაზრდელად, რადგან მათი სასწავლო პროგრამა არ შეესაბამება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა მოთხოვნებს.
- საჯარო დაწესებულებების პედაგოგთა დიდი ნაწილი არ არის მზად, რომ ასწავლონ შშმ ბავშვებს. დღესდღეობით არსებული ტრენინგები არ არის საკმარისი; აუცილებელია მასწავლებელთა უფრო ხანგრძლივ და ექსტენსიურ გადამზადების პროგრამაში ჩართვა.
- როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არსებობს სრულყოფილი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის საჭიროებების მქონე მოზარდები შეიძლება იყვნენ ჩართულნი ინკლუზიური განათლების პროგრამაში. ნანა ცარციძის განცხადებით, მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე მოზარდთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში (რაც ხშირად ხდება) თვითონ ამ ბავშვებისათვის არის ცუდი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო სტრუქტურებს, უპირველესყოვლისა კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რადგან არაერთი ზემოხსენებული პრობლემის გადაჭრა საჭიროებს საკანონმდებლო-სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორებიცაა „ადრეული ჩარევის პროგრამის“ გაფართოება რეგიონებში, სკოლამდელი ინკლუზიური განათლების პროექტის შედგენა, ტრენინგების ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გაზრდა და ა.შ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, საზოგადოებისა და მედიის აქტიური ჩართულობის აუცილებლობაც. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უპირველესი წინაპირობაა სხვადასხვა სტიგმისა და ცრუ შეხედულების აღმოსაფხვრელად, ამისათვის კი ინფორმირებულობის მაღალი დონეა საჭირო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პროექტი და ჯგუფს იმედი აქვს, რომ თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა შშმ პირთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების პროცესის დაჩქარებაში.

შშმ პირების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *თამარ რობაქიძე,*

ნინო მგალობლიშვილი, თამარ მელაძე, ანი ბალასანია

პროექტის ხელმძღვანელი: *ეკა დარბაიძე*

2015 წელი

პროექტის დაგეგმვის პროცესში მრავალი იდეა დაიბადა და თავდაპირველად ჯგუფი შეჩერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსის ეზოში სასმელი წყლის შადრევნის დადგმაზე. შევეცადეთ მერიისაგან მიგვეღო ნებართვა და დაფინანსება, თუმცა მალევე აღმოვაჩინეთ, რომ ეს დროში გაწელილი პროცესი იყო და შესაძლოა ვერ მოგვესწრო 15 კვირაში, კურსი კი სემესტრის ბოლოს უკვე განხორციელებულ პროექტს ითხოვდა. ამიტომ მალევე შევცვალეთ ჩვენი პროექტი ძირფესვიანად და დავიწყეთ მუშაობა მეორე ალტერნატივაზე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებზე.

შშმ პირები ერთ-ერთ დაუცველ უმცირესობას მიეკუთვნებიან, რომელთაც მრავალი პრობლემა გააჩნიათ დაწყებული ინფრასტრუქტურიდან დამთავრებული საკანონმდებლო სფეროთი. დღეს მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია მუშაობს შშმ პირთა უფლებების და პირობების გაუმჯობესებაზე და მათი პრობლემები ნამდვილად აქტუალურია. პრობლემათაგან უმნიშვნელოვანესია ფინანსური პრობლემა, რომლის მოგვარებაც გადაჭრის როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე საინფორმაციო და საგანმანათლებლო პრობლემას.

პროექტის მიზანი იყო შშმ პირებისათვის ყოფის მცირედით მაინც შემსუბუქება და მათი დახმარება პრობლემების მოგვარებაში. პროექტის განხორციელებაში ჩართულები იყვნენ სოციალური თერაპიის სახლი "კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ" და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სოციალური თერაპიის სახლი „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ" დილის 10:00 სთ-დან საღამოს 16:00 სთ-მდე ორმოციოდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მასპინძლობს. აქ ისინი სწავლობენ და მუშაობენ ხეზე, ქმნიან ხისგან სხვადასხვა ნივთებს, ამზადებენ დეკორატიულ და სურნელოვან სანთლებს, თექის ნივთებს, ამუშავებენ მეორად ქაღალდებს და მისგან ამზადებენ რვეულებს, ბეჭდავენ წიგნებს და დეკორატიულ ნივთებს. ისინი აწყობენ ბაზრობებს და ღია კარის დღეებს, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ მათი ნამუშევრების შეძენა. სოციალური თერაპიის სახლი უზრუნველყოფს ბენეფიციარებს დილა-საღამოს ტრანსპორტირებითა და სადილით. ამ სახლს ფინანსური პრობლემა ჰქონდა, ემუქრებოდა დაფინანსების გარეშე დარჩენა, რაც მის დახურვას მოასწავებდა.

პროექტის ჯგუფი ამ ორგანიზაციას უშუალოდ დაუკავშირდა ჩვენი თანაკურსელის თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის

მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტის, მარიამ ნოზაძის მეშვეობით, რომელიც პრაქტიკას გადიოდა სწორედ ამ სახლში. მისი მეშვეობით შევხვდით სოციალური თერაპიის სახლის ხელმძღვანელს, ლია ასანიშვილს, რომელმაც პროექტს თანადგომა გამოუცხადა. ჩვენი მიზანი იყო მცირედით მაინც დავხმარებოდით მათ ფინანსური პრობლემის გადაჭრაში.

პროექტის ჯგუფის თხოვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენა–გაყიდისათვის ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა საგნის ხელმძღვანელის, ეკა დარბაიძის შუამდგომლობის შემდეგ და გამოგვიყვეს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზი. გამოფენის თარიღად დაინიშნა 2015 წლის 15 დეკემბერი 11:00-15:00 სთ. თავის მხრივ, თერაპიის სახლის ხელმძღვანელი დაგვთანხმდა და გამოვიტანეთ გამოფენაზე დეკორატიული სანთლები და საკანცელარიო ნივთები, ყველაფერი დამზადებული შშმ პირთა მიერ. უშუალოდ გამოფენის დღეს ჩვენთან იყო ორი გერმანელი მოხალისე, რომლებიც პრაქტიკას გადიოდნენ სოციალური თერაპიის სახლში და ასევე ამ ორგანიზაციის ბენეფიციარები.

ჩვენ შევქმენით სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით ღონისძიება, სადაც დავაანონსეთ აღნიშნული პროექტის შესახებ და მოვიწვიეთ, როგორც თსუ–ს სტუდენტები, ასევე ფეისბუქ მეგობრები. გარდა ამისა, თსუ-ს კორპუსებში საინფორმაციო დაფებზე გავაკარით აფიშები ღონისძიების შესახებ და დავამზადეთ სარეკლამო ვიდეორგოლი.

გამოფენა-გაყიდვამ წარმატებით ჩაიარა. ამ აქციიდან შემოვიდა 300 ლარი. მართალია იგი მხოლოდ მცირე ხნით იქნებოდა საკმარისი შშმ მოზარდებისთვის, თუმცა ამით ხელი შევუწყეთ მათი საქმიანობის პოპულარობასა და მათთვის თავდაჯერებულობის გაზრდას.

ყრუ და სმენადაქვეითებული პირები

კავკასიის უნივერსიტეტი
პროექტის ავტორები: *დეა მაღალაშვილი,*
გვანცა კერესელიძე, თაკო ბურჯანაძე,
სერგი კვიჟინაძე, ცირა ხორავა
პროექტის ხელმძღვანელი: *ქეთი მუხიგული*
2014 წელი

ჩვენი პროექტის თემა არის ყრუ და სმენადაქვეითებული პირები. ამ პროექტის მეშვეობით ჩვენ გვსურს რომ საზოგადოებამ სრულფასოვანი ინფორმაცია მიიღოს ასეთი პირების მდგომარეობაზე, თუ რა დაბრკოლებები გააჩნიათ ასეთ პირებს თითოეულ ასაკოვან ჯგუფში, როგორც ბავშვებს და მოზარდებს, ასევე ზრდასრულებს. უმნიშვნელოვანესია საზოგადოებამ გაითვალისწინოს, რომ მათი სრული ინტეგრაცია უფრო სრულყოფილს და ჯანსაღს გახდის საზოგადოებას, რაც თითოეული მოქალაქისათვის იქნება სასარგებლო.

ამიტომაც ყველანაირად ვცდილობთ, ესა თუ ის ფილმი, მულტფილმი და ა.შ. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ჟესტურ ენაზე გავახმოვანოთ.

როდესაც ყრუ ან სმენადაქვეითებული ბავშვი იბადება ოჯახში, მას თავიდანვე ხვდება დაძაბული გარემო. ხშირ შემთხვევაში, მშობლები და ოჯახი ასეთ ბავშვს საზოგადოებას არიდებს და თავად უკეტავენ განვითარების გზას. ზოგადად, არ არსებობს ოჯახებისთვის საკმარისი ინფორმაცია და ინფორმაციის მიწოდების წყაროები (განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში), რათა მათ სათანადო ცოდნა ჰქონდეთ, როგორ უნდა მიუდგნენ ასეთ ბავშვს და რა არის საჭირო, რომ მან ჯერ საკუთარ ოჯახში და შემდეგ უკვე ფართო საზოგადოებაში მოახდინოს ინტეგრირება.

მედიცინის სფერო საქართველოში არასაკმარის ინფორმაციას იძლევა. კოხრეალური იმპლანტი არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება ადრეულ ასაკში ბავშვს აღუდგეს სმენა, მაგრამ მის როგორც დადებით, ასევე უარყოფით თვისებებზე უნდა ვრცელდებოდეს სათანადო ინფორმაცია.

ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვებისთვის სპეციალური ბაგა-ბაღები, რომლებიც საერთოდ არ არსებობს ქვეყნის მასშტაბით. რაც შეეხება სკოლას, საქართველოში არსებობს

მხოლოდ 2 საჯარო სკოლა-პანსიონატი: 203-ე თბილისში და 45-ე ქუთაისში. ასევე, ყრუ და სმენადაქვეითებული პირები ძალიან შეზღუდულნი არიან უმაღლესი სასწავლებლების არჩევანში. მხოლოდ გარკვეული ტექნიკურ-სპეციალობითი განხრით შეუძლიათ ისწავლონ სულ რამდენიმე კოლეჯში.

სახელმწიფო დაწესებულებებში არ არსებობს თუნდაც ერთი ჟესტური ენის მცოდნე პირი. ქვეყანაში ძალიან ცოტა ჟესტური ენის თარჯიმანია.

გარკვეულწილად სახელმწიფოც და არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი პროექტებით ცდილობენ ყრუ და სმენადაქვეითებული პირების მდგომარეობის გაუმჯობესებას მაგრამ მათი ინტერესების მუდმივი და დაუღლელი მცველი მაინც "საქართველოს ყრუთა კავშირია", რომელიც ერთგვარი ოჯახია ასეთი პირებისთვის, სადაც ისინი მხარდაჭერასა და დახმარებას პოულობენ. კავშირს მუდმივად აქვს უფასო ჟესტური ენის კურსები, რაზეც ნებისმიერს შეუძლია ჩაეწეროს და ისწავლოს.

პროექტმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ბავშვებზე და დაიგეგმა მათთვის როგორც მულტფილმების, ასევე მხატვრული ფილმების გადათარგმნა ჟესტურ ენაზე. ნათარგმნი დისკი საჩუქრად გადაეცა 203-ე საჯარო სკოლას და დაიგეგმა ბავშვების დაპატიჟება კერძო კინოთეატრში ფილმ "ცელქი ბავშვების" ჩვენებაზე. პროექტის ჯგუფის ორი წევრი ეწვია შუადღის გადაცემას ტელევიზიაში "ერთსულოვნება", სადაც ქალბატონ მაია მეტონიძესთან (საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი) ერთად კიდევ ერთხელ მიმართეს საზოგადოებას ყრუ და სმენადაქვეითებული პირების პრობლემებთან დაკავშირებით.

ასევე, ჩვენმა ჯგუფმა მაესტროს ეთერში 1 წუთიანი ფილმი გაუშვა, სადაც 2 ყრუ პირი მიმართავს საზოგადოებას და მოუწოდებს მათ, რომ გაიზიარონ ყრუ პირთა მდგომარეობა და დაეხმარონ მათ სრულყოფილ ინტეგრაციაში. ჯგუფმა ასევე იპოვა სპონსორი, „ლიტვური საცხობი", რომელმაც საჩუქრად გამოყო ტკბილეულობა. ეს ტკბილეულობა საჩუქრად გადაეცა ერთ-ერთ ოჯახს რომელიც ასევე სოციალურად დაუცველია. ოჯახში ცხოვრობენ დედა და 4 შვილი, რომელთაც სმენადაქვეითებულობა თანდაყოლილი აქვთ.

პროექტის ბოლოს შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სოციალიზაცია – ინკლუზიური განათლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

***პროექტის ავტორები** : ინგა ღოღობერიძე,ნათია კეკენაძე*

***პროექტის ხელმძღვანელი:** მიშა შათვალაძე*

2016 წელი

განათლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის იყო და დღემდე არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რადგან ხშირ შემთხვევაში, სწორედ განათლება არის ქვეყნის პროგრესისა და რეგრესის პირდაპირი მაჩვენებელი. ინკლუზიური განათლება არის ზოგადად განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. თუ ინკლუზიური განათლება არ განხორციელდება ეფექტურად, ეს იქნება განათლების სისტემის ძალიან დიდი ნაკლი, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული ბავშვის სრულფასოვანი განათლება.

ჩვენი პროექტის მთავარი მიზანი იყო ჩაგვეტარებინა კვლევა იმასთან დაკავშირებით, შეიცვალა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სოციალიზაციის ხარისხი ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვის შემდეგ და ასევე, მიგვეწოდებინა ინფორმაცია საზოგადოების მცირე ნაწილისთვის მაინც, თუ რა არის ინკლუზიური განათლება და გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც თავს იჩენს აღნიშნული მოდელის განხორციელების პროცესში.

პირველ რიგში, გაგაცნობთ ჩვენი კვლევის შედეგებს. პირისპირ ინტერვიუების დროს, თითქმის ყველა მშობელმა დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, რომ ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სსსმ მოსწავლეთა სოციალიზაციის გაზრდას, მაგრამ ეს არის ის საბოლოო შედეგი, რომელსაც მშობლები თუ სპეც-მასწავლებლები მოელიან ამ პროცესისგან. მათი აზრით, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა დარჩა მოსაგვარებელი, რომელიც ხელს უშლის სსსმ ბავშთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში. ძირითადად, ყურადღება გაამახვილეს შემდეგი სახის პრობლემებზე: ადამიანური რესურსების არარსებობა (სპეც-მასწავლებლების ნაკლებობა და მათი კვალიფიკაციის ხარისხი), ინფრასტრუქტურა, რესურს ოთახების არასწორი, დამახინჯებული ფორმით გამოყენება, საატესტატო გამოცდების მოუქნელი სისტემა, რომელიც არ იძლევა შესაძლებლობას სსსმ მოსწავლეებისათვის, გაიარონ შესაბამისი ტესტირება.

აღნიშნული პრობლემების მიზეზად მშობლები ასახელებენ სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემებზე ყურადღების ნაკლებად გამახვილებას. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხდება პრიორიტეტების არასწორად გადანაწილება. სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამების შემუშავებას სსსმ პირებისათვის, მაშინ, როცა ამ ადამიანებს არ უქმნის ფუნდამენტური განათლების მიღებისათვის საჭირო პირობებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინკლუზიური განათლების დეპარტამენტი არ ხუჭავს თვალებს ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროგრამის დირექტორმა მარიკა ზაქარეიშვილმა ინტერვიუს დროს თავად გამოყო აღნიშნული და სხვა პრობლემები და აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების დეპარტამენტი ყველანაირად ცდილობს მათ მოგვარებას.

საზოგადოების, კონკრეტულად კი სტუდენტთა ნაწილის ინფორმირებულობისათვის, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, 24 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციის ჩასატარებლად მოვიწვიეთ ქალბატონი მარიკა ზაქარეიშვლი.

ლექციაზე მარიკა ზაქარეიშვილმა მიმოიხილა ზოგადად ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, არსებული პრობლემები და გამოწვევები. დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამ საკითხის მიღმა არსებული ტერმინების დეფინიცია, სახელმწიფოს სამოქმედო გეგმა და სამომავლო სიახლეები.

საჯარო ლექციის ჩატარების მიზანი იყო სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლის მიერ სახელმწიფოს მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების გაცნობა და საზოგადოებამდე მიტანა, ასევე საჯარო ლექციის ინტერაქციულობა, დაინტერესებული პირების ჩართვა დისკუსიაში. ლექციაზე დამსწრე საზოგადოებას ასევე გავაცანით ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე სსსმ პირთა მშობლების აზრი და შეხედულება იმ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ინკლუზიური განათლების კუთხით ატარებს. საჯარო ლექციის მიზნები, მიმდინარეობა და შედეგები ჩვენს პროექტთან ერთად განვიხილეთ სტატიაში, რომელიც განთავსდა საინფორმაციო სააგენტოში „თბილისი თაიმსი“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი საკმაოდ ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული ინტერვიუებით და საჯარო ლექციით, ერთი მხრივ მშობლებმა და, რაც მთვარია, სახელმწიფომ გააცნობიერა, რომ ეს საკითხი არ არის საზოგადოების ყურადღების მიღმა, ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და მეორე მხრივ, ჩვენი ლექციით სტუდენტთა ნაწილმა და მათ შორის ჩვენ, გავიგეთ ბევრი საინტერესო ინფორმაცია ინკლუზიური განათლებისა და იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც თავს იჩენს აღნიშნული მოდელის განხორციელების პროცესში.

ჩვენ ყველანი ერთნი ვართ

ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *თინათინ ბერაძე,*

სალომე მშვილდაძე, დანელია მარიამი,

გიორგი ჭუმბაძე, რუბენ კუსიანი,

მურმან ჩუბინიძე , ბადრი ჭუბაბრია

პროექტის ხელმძღვანელი: *თინათინ მეფარიშვილი*

2014 წელი

სალექციო კურსის - „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ფარგლებში, ჩვენ მიერ გაკეთებული პროექტის თემა ,,ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“ ემსახურებოდა საზოგადოებისათვის იმის ჩვენებას, რომ ადამიანთა შესძლებლობები შეუზღუდავია.

სალექციო კურსის მსვლელობისას სტუდენტებმა აღმოვაჩინეთ პრობლემა, რომლის მოგვარებაც ჩვენს გუნდს მარტივად შეეძლო. კერძოდ, შშმ პირთა ასოციაცია „მოწყალებას“, რომლის წევრებიც ქმნიან სხვადასხვა სახეობის ხელნაკეთ ნივთებს, არ გააჩნდა ამ ნივთების დასამზადებლად საჭირო ფინანსური რესურსი. ჩვენ მიზნად დავისახეთ, შშმ პირთა საზოგადოებაში ინტერგრაციის ხელშეწყობა და სოციუმის ცნობიერების ამაღლება.

ჩვენ დიდხანს ვიმსჯელეთ თუ რისი გაკეთება შეგვეძლო ამ პრობლემის მოსაგვარებლად და შევიმუშავეთ გეგმა, რომელიც მოიცავდა შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ადაპტირებული გარემოს მოძიება;
- საზოგადოების ინფორმირება;
- შშმ პირთა ტრანსპორტირება;
- საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა;
- თბილი და მყუდრო გარემოს შექმნა;
- საჭირო რესურსების მოპოვება.

გეგმის მიხედვით, პირველ რიგში უნდა გავსაუბრებოდით ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რათა უკეთ დაგვეზუსტებინა მათი ძირითადი პრობლემა და ერთად შეგვემუშავებინა პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო გზები. ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ გულიზა ჯავახაძეს ჩვენ გავაცანით პრობლების აღმოფხვრის ჩვენეული ხედვა და ვთხოვეთ ჩვენს აქტივობებში მონაწილეობის მიღება. მისი თანხმობის შემდეგ, ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ჩვენ მოვაწყვეთ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა ამ ასოციაციას.

პროექტი ითვალისწინებდა მასში შშმ პირთა უშუალო მონაწილეობას, ამ პროცესმა კი ნათლად დაგვანახა მათ გადაადგილებასთან დაავშირებული პრობლემების სიმწვავე.

პროექტის ბენეფიციარების ტრანსპორტირებაში დაგვეხმარა ქუთაისის მერიის ორგანიზაცია „ახალგაზრდები ქუთაისისთვის“.

პროექტის ფარგლებში, გამოფენა-გაყიდვასთან ერთად მოეწყო „შთაბეჭდილებებისა და შენიშვნების ხე“, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა და მონაწილეებმა გაგვიზიარეს თავიანთი მოსაზრებები ამ დღის შესახებ. ეს ხე ჩვენ დაგვრჩება ერთგვარ გამოცდილებად და სტიმულად, რათა მომავალში უკეთ შევძლოთ მსგავსი პროექტების განხორციელება.

პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის, ჩვენ შევიმუშავეთ განცხადების ტექსტი, რომელიც გავაგზავნეთ სხვადასხვა დაწესებულებებში, ასევე აქტიურად ვიყენებდით სოციალურ ქსელებს.

მართალია, პროექტი აღმოჩნდა ერთჯერადი ხასიათის, თუმცა, ჩვენ შევძელით საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული თანხით დავხმარებოდით ასოციაციის წევრებს, რითაც მათ მოახერხეს შეეძინათ სამუშაო მასალები, რომელსაც, სავარაუდოდ, გარკვეული დროის განმავლობაში გამოიყენებენ ისინი. ჩვენი აქციით კიდევ ერთხელ შევძელით ხაზი გაგვესვა, რომ ადამიანის შესაძლებლობები კი არა, არამედ გარემოა შეზღუდული. ამასვე ეხმიანებოდა ჩვენი სლოგანი ,,ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“.

ჩვენი პროექტის შესახებ დაიბეჭდა ჟურნალში ,,იმედი+“. ეს არის საგანამანთლებლო-საინფორმაციო ხასიათის ჟურნალი შშმ პირებისათვის. პროექტის განხორციელებისთვის დიდ მადლობას ვუხდით, ყველა მასში ჩართულ ადამიანს, განსაკუთრებით კურს ,,დემოკრატია და მოქალაქეობის“ ლექტორს თინათინ მეფარიშვილს და ქუთაისის უნივერსიტეტს.

ნაწილი II

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია

ეთნიკური უმცირესობებისათვის სამოქალაქო განათლების კუთხით ცნობიერების ამაღლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები:*ქეთევან ქობულაძე,*

თეონა გელაშვილი, ზურა გამთენაძე,

გუგა სუხიაშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*

2016 წელი

სალექციო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ფარგლებში, ჩვენ მიერ გაკეთებული პროექტის თემა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის სამოქალაქო ჩართულობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ეხება. ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ და ინტეგრაციის სიმცირის გამო, ფაქტობრივად, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს გამოთიშავს ეროვნული საკითხებიდან. საკითხი კომპლექსურ ხასიათს იღებს, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი საკმაოდ მრავალასპექტიანი გამოწვევაა არათუ საქართველოსთვის, არამედ ევროპის მრავალი სახელმწიფოსათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული მრავალი კვლევა თუ პირადი გამოცდილება ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხი საკმაოდ დაბალ დონეზეა. კვლევების, მაგალითად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებისთვის შექმნილ სპეციალურ საბაკალავრო პროგრამაზე აბიტურიენტთა რაოდენობა, რომელთაც სურთ ქართულ ენაზე ისწავლონ უმაღლეს სასწავლებელში საკმაოდ დაბალია. ამასთან ერთად, იმავე კვლევის მიხედვით, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სატელევიზიო გადაცემებში ქართულენოვანი არხები რეიტინგით მხოლოდ მესამე ადგილზე არიან, ხოლო პირველსა და მეორეზე მათი მშობლიური და რუსული არხებია. მხოლოდ ამ ორი კვლევითაც, ნაწილობრივ წარმოჩინდება პრობლემა, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია დაბალია.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა არსებითად პრობლემურია, რაც თავს იჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა, ეს ადამიანები სრულად ვერ ინტეგრირდებიან საზოგადოებაში, რაც სამოქალაქო აქტიურობას უქმნის საფრთხეს.

ეთნიკური უმცირესობების მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ვიკვლიოთ, თუმცა, უდავოა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ამ პრობლემაში, რასაც ადასტურებს მონაცემები, რომ ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებით კი მათი კომპაქტურად განსახლების ადგილებში, ქართული ენის ცოდნა არათუ დაბალ ნიშნულზე, ხშირად ნულზეც კი არის.



პროექტის იდეა იყო ის, რომ მოგვეძებნა თსუ-ს სტუდენტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთაც ჩავუტარებდით ტრენინგსა და შემდეგ ისინი თავიანთ ქალაქებში ჩაუტარებდნენ სკოლის მოსწავლეებს ლექცია/ტრენინგს არსებულ საკითხებზე. აღნიშნული ტექნიკური საკითხები მარტივად მოგვარდა, რადგან სტუდენტების მხრიდან ენთუზიაზმი დიდი იყო. ლექციების ჩატარებისა და ახალგაზრდებთან არაფორმალური ურთიერთობის შემდეგ მათი მხრიდან მივიღეთ დიდი დაინტერესება, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც დაეხმარებოდა მათ, რომ მიეღოთ სხვადასხვა სახის გამოცდილება, უპირველესად ქართული ენის გაუმჯობესების მხრივ, გაგვეზიარებინა მათთვის და აუცილებლად ჩაგვერთო ისინი ამ ღონისძიებებში. პროექტის მიზანი იყო, რომ აგვემაღლებინა სამოქალაქო ცნობიერება, რომელიც გარკვეულწილად ჰქონდათ კიდეც და ამავდროულად წაგვეხალისებინა ახალგაზრდები. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მათი წახალისება გარკვეულწილად მოხდა კიდეც, რადგან ზოგიერთმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა ამავე კურსის ფარგლებში ორგანიზებული პროექტით განხორციელებულ ესეების კონკურსში. მართალია მათი რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო, თუმცა, ჩვენი რესურსების ფარგლებში ესეც გარკვეულწილად დადებითად იმოქმედებდა.

პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების, ორი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მარნეულიდან და ახალქალაქიდან. მათ უზრუნველყვეს ის, რომ ჩვენ მიერ შედგენილი ლექცია/ტრენინგის პროგრამა ეთარგმნათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რათა პროექტში ჩართული ახალგაზრდებისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო ის თემატიკა, რაზეც მათთან უნდა გვესაუბრა.

პროექტის ფარგლებში აქტიურ დახმარებას გვიწევდა სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), რომელმაც მოგვაწოდა ბროშურები, წიგნები და სამოქალაქო განათლების გზამკვლევები - როგორც ქართულ, ისე რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამას გარდა, ქალაქ მარნეულში USAID-მა, ხოლო ახალციხეში – დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა დაგვითმო თავისი ოფისი.

ოფიციალურად ჩატარებული კვლევებისა და ჩვენი დაკვირვების შედეგადაც ცალსახად გამოიკვეთა ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემები. ორივე ქალაქის, ახალქალაქისა

და მარნეულის ეთნიკური უმცირესობები აცხადებდნენ, რომ მათ აქვთ ქართულ ენაზე საუბრის პრაქტიკის ნაკლებობა. ჩვენი დაკვირვებითაც და ასევე მათი მტკიცებით, სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც ესმით ქართული, გარკვეულწილად შეუძლიათ კითხვაც, თუმცა, საუბრის რცხვენიათ. მეორე პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა მათთან საუბრის დროს, იყო განათლების პრობლემა. საქართველოში კომპაქტურად დასახელბულ ორივე ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდა წარმომადგენლებს აქვთ სურვილი მიიღონ უმაღლესი განათლება, თუმცა, ისევ და ისევ ენობრივი ბარიერი და ამავდროულად, დასაქმების პრობლემატიკა აფიქრიანებთ

და აფერხებთ გააგრძელონ სწავლა, რომელსაც თან ერთვის გენდერული სტერეოტიპული დამოკიდებულებები თუ სხვა სახის სოციო-კულტურული ასპექტები, რომლებიც აფერხებს მათ. თუმცა უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელებსა და სომხებში გაცილებით უფრო დიდი მზაობა შეინიშნება სამოქალაქო აქტიურობისკენ, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში და ამ გარემოებას თვითონაც ადასტურებენ.

პროექტის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მიღწეულია იმიტომ, რომ ჩატარებულმა ლექციებმა, ორივე ქალაქში ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმართა ცხარე დებატები. დებატების მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა შესახებ ხშირად არ საუბრობენ არათუ ახალგაზრდები, არამედ ზრდასრულებიც. დამსწრეებმა მსგავსი სახის ლექცია-ტრენინგებზე კვლავ დასწრების დიდი სურვილი გამოთქვეს.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *თეიმურაზ ბეჟანიძე,*

მარიამ ტატინაშვილი, მირანდა პერანიძე,

შოთა ნარსია

პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*

2015 წელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სწავლობს. ეთნიკურად განსხვავებული სტუდენტები სწავლობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაულტეტზეც. პრობლემა უშუალოდ ჩვენს აუდიტორიაშივე გამოვლინდა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდათ ჩვენთან კომუნიკაციის პრობლემა, რაც იწვევდა იმას, რომ ეს სტუდენტები არა მხოლოდ ვერ ურთიერთობდნენ ეროვნებით ქართველ სტუდენტებთან, არამედ ინტროვერტულები ხდებოდნენ და სასწავლო პროცესშიც საერთოდ არ აქტიურობდნენ. ამიტომ დავინტერესდით თუ რა იყო ამის მიზეზი და როგორ შეიძლებოდა აღნიშნული საკითხის მოგვარება.

პროექტზე მუშაობისას, უშუალოდ აქტივობის განხორციელებამდე ჩატარდა ფოკუს–ჯგუფი, რათა უფრო სიღრმისეულად გავცნობოდით ამ ადამიანების პრობლემებს და მათი ინტერესებიდან გამომდინარე დაგვეგეგმა აქტივობები.

ფოკუს–ჯგუფის ტექნიკის ერთ-ერთი დადებითი მხარეა ის, რომ მაქსიმალურად თავისუფალს ხდის ინტერვიუს წევრებს. ასეც მოხდა. კომუნიკაციის პირველი მცდელობა წარმატებით დასრულდა და გავიგეთ მათი პრობლები. უმთავრესი პრობლემა, რაც უშუალოდ ფოკუს–ჯგუფის დროს გამოიკვეთა, ეს იყო ენობრივი ბარიერი, რის გამოც ამ სტუდენტებს უჭირთ როგორც ურთიერთობა, ასევე მასალის დასწავლა.

შემდგომში, პროექტის განხორციელების პროცესში, მხარდამჭერების სახით ჩართულები იყვნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა თბილისის ფაბიანური საზოგადოება, ტელეკომპანია “თრიალეთი”, სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), IFES და წიგნის მაღაზიათა ქსელი “ბიბლუსი”. გარდა ორგანიზაციებისა, პროექტს მხარს უჭერდნენ ეთნიკური უმცირესობების თემებზე მომუშავე ადამიანები.

ჩატარდა საჯარო დისკუსია, რომელსაც უძღვებოდა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხის სპეციალისტი, ფაბიანური საზოგადოების წევრი სოფო შუბითიძე. დისკუსიის დროს უმცირესობების წარმომადგენლებმა გამოკვეთეს საკუთარი პრობლემები. დისკუსიას ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ადამიანები, რამდენიმე მათგანმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და არაერთხელ დაეხმარა პროექტს საჭირო რესურსებით. დისკუსიის მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრად სახელმძღვანელოები ,,ეთნიკური უმცირესობები და არჩევნები - ელექტორალური ქცევა".

გარდა ამისა, ტელეკომპანია "თრიალეთი" პროექტის ფარგლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ აქტივობებს წარმატებით აშუქებდა.

კომუნიკაციის პრობლემის უკეთ დასაძლევად ჩატარდა მცირე კონკურსი, რომელიც ერთგვარი მოტივაციის საშუალება უნდა ყოფილიყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. გამოცხადდა სამოქალაქო განათლების ესეების კონკურსი, რომლის ორგანიზატორების იყვნენ IFES და CELA. მათ მონაწილეებს გადასცეს სამოქალაქო განათლების გზამკვლევები, რომლებიც ადაპტირებულია ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ესეების კონკურსის ფარგლებში სტუდენტებმა შეასრულეს ნაშრომები ,,მე ვარ საქართველოს მოქალაქე", ხოლო ღონისძიების მეორე ნაწილი ჩატარდა პრეზენტაციის სახით, სადაც მათ წარადგინეს პირველ ტურში შესრულებული ნაშრომები პრეზენტაციების სახით. საბოლოოდ, კონკურსის გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ კომპანია "ბიბლუსის" მიერ გადმოცემული სახელმძღვანელოებით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ბლოგი, civiledublog.wordpress.com, სადაც განთავსებულია ყველა განხორციელებული აქტივობა. გარდა აქტივობებისა, ვებგვერდი ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების საგნის პოპულარიზაციას.



ამ დროისთვის ტარდება საჯარო ლექციათა ციკლი. პროექტის ფარგლებში მოწვეულია არაერთი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ თემებზე ატარებენ ლექციებს. ლექციებს ესწრებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

მომავალში იგეგმება, რომ აუცილებლად გაგრძელდება პროექტის ფარგლებში მსგავსი ღონისძიებების გაკეთება, ამჯერად კი, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის ხარისხი თსუ–ში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნიკურ უმცირესობებსა და ეროვნებით ქართველ სტუდენტებს შორის შედარებით გაუმჯობესდა. უახლოეს მომავალში კი ვგეგმავთ წიგნის კლუბის შექმნას, სადაც ეთნიკური უმცირესობები შეძლებენ უფრო მეტად დაუახლოვდნენ სხვა სტუდენტებს.

„გახდი ცვლილება, რომლის დანახვაც გსურს სამყაროში“

მაჰათმა განდი

თსუ-ის სტუდენტური გზამკვლევი ეროვნული უმცირესობებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *დავით თინიკაშვილი,*
მურად მურადოვი,მარიამ ჩალაბაშვილი,
ელენე ჩიტიშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*

2015 წელი

ჩვენი პროექტი: ,,თსუ-ს გზამკვლევი ეროვნული უმცირესობებისათვის'' კურს „დემოკრატია და მოქალაქეობის“ შედეგია. არჩევანი აღნიშნულ თემაზე გავაკეთეთ მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება შემდეგში: სტუდენტები/აბიტურიენტები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ფაკულტეტებისა და სწავლის პროცესის შესახებ, არ იცოდნენ ვისთვის უნდა მიემართათ და ვინ შეძლებდა მათ დაკვალიანებას სხვადასხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ მიზნად დავისახეთ გაგვემარტივებინა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობისთვის უნივერსიტეტში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვების პროცესი.

პირველ ეტაპზე, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტებს გავესაუბრეთ, შემდეგ ჩავატარეთ ინტერნეტკვლევა სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ამ კუთხით საქართველო აღიარებს უმცირესობების ინტეგრაციის საჭიროებას. მას ხელმოწერილი აქვს ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია და აღიარებს უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და რეკომენდაციების უმეტესობას, მათ შორის, გაეროს დეკლარაციას ეროვნულ და ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ადამიანების უფლებების შესახებ და ასევე ეუთოს დოკუმენტებს: ჰააგის რეკომენდაციას ეროვნული უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებების შესახებ და განმარტებით ბარათს, ეუთოს ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტს და სხვ. [2]

2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების თემის წინ წამოწევა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 8 მაისის #348 განკარგულების ძალით ამოქმედდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია მიზნად ისახავს საქართველოში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნას; ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობას; ცხოვრების ყველა სფეროში ეთნიკურ უმცირესობათა ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, მათი კულტურისა და თვითმყოფადობის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას.

[2]უცნობი. (15.06.2010წ). *ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ* .თბილისი.

სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისთვის განხორციელებულ პროექტებიდან აღსანიშნავია: ,,4+1''. რომლის ამოქმედებამდეც, 2009 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ აზერბაიჯანელ სტუდენტთა რაოდენობა იყო 9. დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო სომეხ ახალგაზრდებთან დაკავშირებით. უკვე მე-5 წელია რაც ეს პროექტი ხორციელდება და ეროვნულ უმცირესობათა საერთო რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა, ინტეგრაციისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის პრობლემა ეროვნული უმუცირესობებში მაინც რჩება. პროექტის განხორციელების პირველ წელს სტუდენტები მოსამზადებელ კურს გადიოდნენ მე-7 კორპუსში და მეტნაკლებად ჰქონდათ შეხება საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან, ინტეგრირებულნი იყვნენ ქართველ ახალგაზრდებთან. 2011-2012 სასწავლო წლიდან კი მოსამზადებელი კურსი მთლიანად გადავიდა თსუ-ს მე-7 კორპუსში, ავლაბარში, სადაც აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების გარდა არავინ არ სწავლობს, რაც გარკვეულ პრობლემას უქმნით, რადგან მათ არ აქვთ ინტენსიური კავშირი ქართველ სტუდენტებთან (პირადი კავშირების გარდა).

სახელმწიფო პოლიტიკის განხილვის შემდეგ, დავიწყეთ პროექტის განხორციელება. საჭირო იყო ვიდეორგოლების „რატომ უნდა ავირჩიოთ თითოეული ფაკულტეტის“ გადაღება, ამისათვის კი აუცილებელი იყო ფინანსების მოზიდვა. ჩვენ მივმართეთ მარნეულის ახალგაზრდულ ცენტრს, რომელმაც ითავა ვიდეორგოლების გადაღება და აბიტურიენტების თბილისში ჩამოსაყვანად გამოყო ორი მიკროავტობუსი. 12 იანვარს ჩავწერეთ 6 მოკლემეტრაჟიანი ვიდეო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 სხვადასხვა ფაკულტეტის შესახებ. ვიდეოში მონაწილეობენ თსუ-ს სტუდენტები ექვსივე ფაკულტეტიდან, რომლებიც ყვებიან თუ რატომ უნდა ავირჩიოთ თითოეული მათგანი.

ვიდეორგოლების გადაღების შემდეგ დავგეგმეთ დამამთავრებელი კლასის აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან შეხვედრის ჩატარება. აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 101-ე აუდიტორიაში. ბავშვების ჩამოყვანა უზრუნველყო „მარნეულის ახალგაზრდულმა ცენტრმა“ „Socar-ის“ დაფინანსებით. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ ქარაია, მარნეულის ცენტრის ლოგიკის მასწავლებელი აბბას აბასოვი და 32 მოსწავლე სხვადასხვა სკოლიდან, რომლებიც ემზადებიან ლოგიკაში „მარნეულის ახალგაზრდულ ცენტრში“. ჩვენ გავიცანით ერთმანეთი, გავიგეთ მათთვის სასურველი პროფესიების შესახებ, მაგალითად, ერთ-ერთ მოსწავლეს სახელად შალალა ამირკანოვას მომავალში სურდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარება. ამასთანავე, გავაცანით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, მივაწოდეთ ინფორმაცია 6 ფაკულტეტისა და მისი მიმართულებების, სასწავლო გეგმის, საგამოცდო სისტემის, ქულების განაწილების, საგნის კრედიტების, GPA-ისა და სხვადასხვა საკითხების

შესახებ (იხ. დანართი). ამის შემდეგ, მოსწავლეებს ვაჩვენეთ ჩვენი ინიციატივა და „მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის“ ხელშეწყობით გადაღებული ვიდეორგოლები („რატომ უნდა ავირჩიოთ თითოეული ფაკულტეტი“). ჩვენი ინფორმაციული ხასიათის ლექციის ბოლოს ქალბატონმა თამარ ქარაიამ ისაუბრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანი სახელმწიფოსთვის. საქართველო არის მულტიეთნიკური ქვეყანა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს კი საშუალება ეძლევათ შეინარჩუნონ საკუთარი კულტურა და ტრადიციები, თუმცა, თითოეულმა მათგანმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოს წინსვლაში, რისთვისაც ჩვენც უნდა შევუქმნათ შესაფერისი გარემო. ხელშეწყობის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს პროექტთან დაკავშირებული „4+1 პროგრამა“, რომელმაც ეთნიკურ უმცირესობებს მეტად გაუმარტივა და გაუზარდა უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. ლექციის მიმდინარეობის პროცესის დროსა და მის ბოლოს მოსწავლეებს საშუალება მიეცათ დაესვათ კითხვები. ამასთანავე, მოსწავლეებმა ისაუბრეს იმ სირთულეების შესახებ, რომელთაც ისინი აწყდებიან ქართული ენის სწავლებისას ყოველდღიურობაში. ერთ-ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან ნაკლებად ინფორმირებულები სხვადასხვა პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესახებ. მოსწავლეები ძალიან მოხარულები იყვნენ იმით, რომ აღნიშნული შეხვედრა ჩავატარეთ და ისურვებდნენ, რომ მას მისცემოდა ინტენსიური ხასიათი.

დღეისათვის აზერბაიჯანელი სტუდენტებისთვის მოქმედებს ‘’Facebook’’ გვერდი (https://www.facebook.com/თსუ-ს-სტუდენტური-გზამკვლევი-ეროვნული უმცირესობებისათვის-1552524135018599/), სადაც ატვირთულია ზემოთ აღნიშნული ვიდეო რგოლები და ინტერესის არსებობის შემთხვევაში, აქტუალურია კითხვა-პასუხის რეჟიმიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა 6 მოკლემეტრაჟიანი ვიდეო სომხურ ენაზეც ჩაგვეწერა, სამწუხაროდ, მათ მოსამზადებლად სპონსორი ჯერჯერობით ვერ მოვნახეთ. მართალია, პროექტის ზოგიერთი აქივობა იყო ერთჯერადი ხასიათის, თუმცა პროექტმა მოგვცა საინფორმაციო FB გვერდი, რომელიც მუდმივად დაეხმარება ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებს უფრო მარტივად მოიპოვონ ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების, ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტისა და ფაკულტეტების შეთავაზებების შესახებ.

ნაწილი III

საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება

ბიბლიოთეკა უსინათლოებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროექტის ავტორები: *ყარამან ბერიძე,*
ტატო პაპიაშვილი, დავით ნოზაძე
პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*
2013 წელი

საკმარისია თვალი გადავავლოთ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ და უამრავ პრობლემას დავინახავთ: სიღარიბე, გულგრილობა, შეუსრულებელი სურვილები, განუხორციელებელი გეგმები. პარალელურად, უამრავი შესაძლებლობა და რესურსია იმისთვის, რომ სხვისი ცხოვრება გააუმჯობესო, თუმცა ყველას მხოლოდ თავისი ცხოვრება აინტერესებს. ჩვენ გარშემო ბევრ ადამიანს შეუძლია, საკუთარი რესურსების ძალიან მცირე ნაწილით იმ ადამიანების ცხოვრება გააუმჯობესოს, რომელთაც არც რესურსი აქვთ და არც შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, იმის ფონზე, რომ საქართველო განვითარებადი სახელმწიფოა, დღეს საზოგადოების ყველა ნაწილი რაღაც სირთულის წინაშეა. ყველა პრობლემა თავისებურია, თუმცა ყველაფერი, რაც განათლებას უკავშირდება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. როცა გსურს ისწავლო, სხვებს არ ჩამორჩე, შენც გქონდეს საკუთარი პროფესია, შენი როლით საკუთარი ადგილი დაიკავო საზოგადოებაში და ამ დროს კი „შუშის კედელს“ ეჯახები – საშინელებაა. წარმოიდგინეთ ადამიანები, რომელთა ირგვლივაც ცხოვრება მიდის, ისინი კი ერთ ადგილზე დგანან - მათ განძრევას აზრი არ აქვს, რადგან მათზე არავის უფიქრია.

უნივერსიტეტში გავდივართ სამოქალაქო განათლების კურსს, რომლის ფარგლებშიც ყოველთვის უამრავ პრობლემას განვიხილავთ. ვაკეთებთ პროექტებს, ვეძებთ გრანტებს და გზებს, რათა თანამოქალაქეებს ცხოვრება შევუმსუბუქოთ, გვერდში დავუდგეთ, ან უბრალოდ გავიზიაროთ ის, რაც მათ აწუხებთ. ალბათ დამეთანხმებით, დიდი საქმეა, თუკი ადამიანი შეძლებს სხვას თანაუგრძნოს და მისი მდგომარეობა გაიზიაროს. ზოგჯერ ამაზე მეტსაც არავინ არ გვთხოვს. ერთი მოსმენა და ერთი შეხედვაც საკმარისია, რომ ერთმა მეორეს ტვირთი მოხსნას და ემოციებსა, თუ დარდში შეეხიდოს.

ამ თემაზე საუბრისას სტუდენტებს ერთი იდეა დაგვებადა: ოთხმა ადამიანმა გადავდეთ გვერდზე ჩვენი საქმეები და ჩვენი დროის ნაწილი სხვაზე ფიქრს დავუთმეთ. რა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ მხედველობა დაქვეითებულ სტუდენტებს სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლა ისეთივე შესაძლებლობებით

გაეგრძელებინათ, როგორც ყველა დანარჩენს. მოვიძიეთ განვითარებული ქვეყნების მაგალითები, თუ რა სახის ადაპტირებული გარემო იყო საჭირო, დავიწყეთ აღნიშნულ საკითხში გარკვეულ ხალხთან მიმოწერა, შევისწავლეთ მხედველობა დაქვეითებულებთან დაკავშირებული პრობლემები და მოვისმინეთ მათი სურვილები, გავაკეთეთ ანალიზი, გეგმა, ასევე ტექნიკისა და დამხმარე ხელსაწყოების ჩამონათვალი, დავწერეთ პროექტი და ფონდ "ღია საზოგადოების" საგრანტო კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა. ამასობაში, რამდენიმე თვე გავიდა. ჩვენ კარგი საქმის წარმატებული განხორციელების იმედი გვქონდა. იყო ზოგჯერ პესიმისტური თვალით შემოხედვა და სკეპტიკური სიტყვები- ''დღეს ვინ რას გააკეთებს'', თუმცა მათ სჭარბობდა დიდი მოლოდინი და დადებითი ენერგია უსინათლოების მხრიდან, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი მონდომება. საბოლოოდ, გრანტი მოვიპოვეთ.

დღეს შეგვიძლია დავინახოთ საქმე, დაწყებული სტუდენტების ცარიელი ხელებით, მოხალისეობრივად და ანაზღაურების გარეშე, თუმცა ძლიერი იდეით და შეგვიძლია დავინახოთ მხედველობა დაქვეითებული, რომელსაც შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ისარგებლოს იმ საშუალებებით, რომლებიც ყველა სხვა დანარჩენს აქვს. ვერ დავივიწყებთ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ზურაბ გაიპარაშვილის დახმარებას - მან ადაპტირებული გარემოს მოწყობისთვის, დაფიქრების გარეშე გამოყო ბიბლიოთეკის სივრცე, რომელიც აღიჭურვა კომპიუტერებით.

ფონდ „ღია საზოგადოებაში", HESP-ის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით, შევიძინეთ ბრაილის პრინტერი, წიგნების წამკითხველი სკანერი, ადაპტირებული პროგრამები და კლავიატურები, ჩავწერეთ სახელმძღვანელოების აუდიო-ვერსიები და მოვაწყვეთ ბრაილის წიგნების კუთხე, გავაკეთეთ ვებგვერდი (http://visuallyimpaireds.tsu.ge) სადაც იტვირთება ელექტრონული მასალები და არის ფორუმი. ამასთანავე, ერთი წლის განმავლობაში იკითხებოდა ტრენინგები 202-ე სკოლის მოსწავლეებისთვის. ამ ყველაფრის განხორციელება არ იყო მარტივი, ჩნდებოდა უამრავი თავსატეხი, შეფერხება, გამოუვალი სიტუაცია, როცა ტექნიკის შემოტანა ვერ ხერხდებოდა და ა.შ. როცა შეიძლებოდა ყველაფრისთვის თავის დანებება და ხელის ჩაქნევა, თუმცა ვერ დავივიწყებთ იმ ადამიანების გვერდში დგომას, რომლებიც ნამდვილად გრძნობენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, და პროექტის მონაწილეებს, რომლებიც გუნდურად და თავდადებით ცდილობდნენ საქმის ბოლომდე მიყვანას. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, რადგან ეს ზღვაში წვეთია იმ საჭირეობებთან შედარებით რაც ცხოვრების განვითარებასთან ერთად იზრდება და ზღვაში წვეთია იმ რეალურ სურვილებთან, რაც უსინათლოებს აქვთ, მაგრამ ეს იყო ის მინიმუმი, რაც

სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში დაიწყო და მიღებული გრანტის დახმარებით გაკეთდა.

ღია ბიბლიოთეკა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები *:ტარიელიძე მარიამი,*

ბეჯანიძე სალომე,მოფინაძე დიანა,

ხალვაში მარიკა, კედია თინათინი,

ჭიტაძე რუსუდანი, ზანაქიძე ზანდა

პროექტის ხელმძღვანელი: *ლალი ანთიძე*

2015 წელი

პროექტი ,,ღია ბიბლიოთეკა“ ჩატარდა კურს ,,დემოკრატია და მოქალაქეობის“ ფარგლებში. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ტარიელიძე მარიამი, ბეჯანიძე სალომე, მოფინაძე დიანა, ხალვაში მარიკა, კედია თინათინი, ჭიტაძე რუსუდანი, ზანაქიძე ზანდა.



პროექტი მიზნად ისახავდა არსებული ღია ბიბლიოთეკის განვითარებას, გაფართოებას, მშვიდი, კომფორტული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. ასევე უნივერსიტეტში სტუდენტური გარემოს შექმნას, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა სტუდენტურ დისკუსიებს, ერთმანეთთან დაახლოებასა და წიგნების მაქსიმალურად გამოყენებას. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა რამდენიმე აქტივობა. უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტში ჩატარდა გამოკითხვა, რამდენად იციან სტუდენტებმა ღია ბიბლიოთეკის შესახებ და რა ტიპის ლიტერატურის წაკითხვა სურთ. პროექტის განსახორციელებლად საზოგადოებრივი მზაობის დასადასტურებლად, უნივერსიტეტში პროფესორებსა და სტუდენტებს შორის



ჩატარდა გამოკითხვა და შეგროვდა ხელმოწერები.

პროექტის პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ, წერილობით მივმართეთ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ედიშერ ჩავლეიშვილს, რათა ბიბლიოთეკისთვის დაეთმო დამატებითი სივრცე და მოეცა ნებართვა, რომ ამ სივრცეში განთავსებულიყო შესაბამისი დანიშნულების ინვენტარი. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ არჩეული სივრცის გამოყოფა რიგი მიზეზებიდან გამომდინარე შეუძლებელი აღმოჩნდა თუმცა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დახმარებით ჩვენ მივიღეთ ალტერნატიული სივრცე ბიბლიოთეკის გაფართოებისთვის.

სივრცის მოპოვების შემდეგ, დავიწყეთ წიგნების სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია, აღვწერეთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები და გავაკეთეთ ჩვენთვის საჭირო, პრიორიტეტული წიგნების ჩამონათვალი. პროექტის დაფინანსების შესახებ, კონსულტაციის მისაღებად, თხოვნით მივმართეთ აჭარის სპორტისა და განათლების სამინისტროს. გვქონდა მცდელობა, საჭირო ფინანსები მოგვეპოვებინა არასამთავრობო სექტორიდან, რამაც უშედეგოდ ჩიარა, საბოლოოდ კი გადავწყვიტეთ ისევ უნივერსიტეტიდან გვეცადა საჭირო ოდენობის გრანტის მოპოვება.

პარალელურ რეჟიმში, ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, ბიბლიოთეკისთვის ახალი წიგნების გამოყოფის თაობაზე.

იმისათვის, რომ ბიბლიოთეკაში შექმნილიყო კითხვისთვის მყუდრო გარემო, ჩვენ მოვიპოვეთ რამდენიმე რბილი სავარძელი ე.წ. პუფი, რაშიც კლუბი ,,ვიტამინი“ დაგვეხმარა. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება დამატებითი ინვენტარის გადმოცემასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, წიგნების შეგროვება, მოვახერხეთ უნივერსიტეტში გაკრული განცხადებების მეშვეობით, რომლის ძალითაც, მოვუწოდეთ სტუდენტებს გაეღოთ წიგნები თავიანთი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის.



პროექტი იყო ერთჯერადი ხასიათის, მაგრამ მან მოგვცა მყარი შედეგი ბიბლიოთეკა და შეგროვებული წიგნები, რომლებსაც მუდმივად გამოიყენებენ სტუდენტები.

Bridge between each other

კავკასიის უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *რატი მიხანაშვილი,*

ნიკა ჩუგოშვილი,თორნიკე ადამია,

გეორგ კუპერსი

პროექტის ხელმძღვანელი: *ქეთი მუხიგული*

2014 წელი

პროექტი დაიგეგმა სალექციო კურსის ფარგლებში „დემოკრატია და მოქალაქეობა“ და საკმაოდ წარმატებულიც გამოდგა. საქართველოს მთავრობამ 2014 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა სავიზო პოლიტიკის მიმართ და ბევრ ადამიანს შეექმნა პრობლემა საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით, მათ შორის, იმ სტუდენტებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში იყვნენ სასწავლებლად ჩამოსულები (სირია, ინდოეთი, პაკისტანი, ნიგერია, ირანი, ინდონეზია და სხვა). მათი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ გატარებული რეფორმის შედეგად ყველა აღმოჩნდა არალეგალი და საკმაოდ ბევრს მოუწია საქართველოს დატოვება.

პროექტის დაგეგმვისას, იდეების გენერირების დროს, გაჩნდა აზრი, რომ ეს კამპანია არა მხოლოდ სავიზო საკითხებს შეხებოდა, არამედ ზოგადად უცხოელი სტუდენტების პრობლემებს საქართველოში. შესაბამისად, დავიწყეთ მუშაობა ამ საკითხების ირგვლივ და ჩატარდა კვლევა. გამოიკითხა 100–მდე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუდენტი და გამოიკვეთა ის ძირეული პრობლემები, რომლებიც აწუხებდათ მათ. ესენია:

- არაჯანსაღი გარემო (ზოგისთვის არაკომფორტული და ძვირი);
- არაჯანსაღი დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან (არამეგობრული დამოკიდებულება, დისკრიმინაცია, პასიურობა, ურთიერთკავშირის არარსებობა და სხვა);
- ენობრივი ბარიერი;
- სამოქალაქო საზოგადოებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება.

ამ პრობლემების გარკვეული ნაწილი აწუხებთ არა მარტო სტუდენტებს, არამედ ზოგადად იმ ხალხსაც, რომლებიც თუნდაც სამუშაოდ ჩამოდიან საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან.

პრობლემების იდენტიფიკაციის შემდეგ უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძებნაზე და ჩამოვყალიბდით შემდეგზე:

- შეხვედრა უცხოელ სტუდენტებთან და დისკუსიის გამართვა;

- უნივერსიტეტების თვითმმართველობებს შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთობების გაღრმავება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირება;

თავდაპირველი შეხვედრა შედგა კავკასიის უნივერსიტეტში, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები კავკასიის უნივერსიტეტიდან, აგრეთვე სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან და საქართველოს უნივერსიტეტიდან. აგრეთვე, ამ შეხვედრას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ წარმომადგენელი. შეხვედრისას უფრო კონკრეტულად ვისაუბრეთ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე და სტუდენტებისგანაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ. მათ ჩაატარეს პრეზენტაცია სხვადასხვა თემებზე, ერთ-ერთი იყო ტერორიზმი სირიაში, ერთი პრეზენტაცია შეეხებოდა ნიგერიას, მის კულტურასა და მოკლე ისტორიას.

შემდეგი შეხვედრა შედგა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ჩვენ, პროექტის ავტორები (რატი მიხანაშვილი, ნიკა ჩუგოშვილი, თორნიკე ადამია და გეორგ კუპერსი) მიწვეულები ვიყავით RIVIERA 2015ზე. ესაა ფესტივალი რომელიც იმართება წელიწადში 2-ჯერ სამედიცინო უნივესიტეტში და ერთგვარი კონცერტის სახე აქვს.

პროექტის დასასრულ, შედეგად, სამოქალაქო სექტორი დაინტერესდა ამ პრობლემებით, უცხოელი სტუდენტები უფრო გააქტიურდნენ და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ დავუმეგობრდით უცხოელ სტუდენტებს და ჩამოგვიყალიბდა საკმაოდ კარგი ურთერთობა.

ნაწილი IV

საქველმოქმედო პროექტები

ერთად შევცვალოთ მომავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *მარიამ მარგველანი,*

თამთა იობაია,

ხატია ხვადაგიანი

პროექტის ხელმძღვანელი: *ციცინო ბუკია*

2014 წელი

მზრუნველობამოკლებული ბავშვები, გარდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა, განიცდიან საზოგადოებრივ ბარიერებთან დაკავშირებულ პრობლემებს. მათ უჭირთ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, მათი ნდობით სარგებლობა. ამ ყველაფრის ძირითად მიზეზს კი წარმოადგენს, გარემოებებისგან გამომდინარე მათი სოციალური ჩაკეტილობა.

,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანს წრმოადგენდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელებისთვის სოციალური აქტივობის დაგეგმვა.

პროექტის ავტორებს სურდათ, დაგეგმილი აქტივობებით გაეზარდათ საზოგადოების ინტერესი მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მცხოვრები აღსაზრდელების მიმართ. ეზრუნათ მათ სოციალურ ინტეგრაციაზე და შეეტანათ წვლილი მათი უფლებების დაცვის პროცესის გაუმჯობესებაში.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა რამდენიმე აქტივობა. მოსამზადებელ და შემდგომ სამუშაოებში ჩართულები იყვნენ სტუდენტები, თავად ბენეფიციარები, მიუსაფარ ბავშვთა აღსაზრდელების მშობლები და აღმზრდელები.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მივიდნენ ჩიქობავას 27 ნომერში მდებარე ,,მიუსაფარ ბავშვთა დღისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრში". დაწესებულებაში 30 აღსაზრდელი ცხოვრობს, მათი ასაკობრივი კატეგორია განსაზღვრულია 6 დან 18 წლამდე, ცენტრში 9 მუდმივად მაცხოვრებელი ბავშვია, ხოლო 21 მათგანი მხოლოდ დღის განმავლობაში სტუმრობს თავშესაფარს.

საინიციატივო ჯგუფმა აღმზრდელებსა და მშობლებლებთან კონსულტაციის შემდეგ მოზარდებს სთხოვეს გამოეხატათ თავიანთი სურვილები, როგორც აღმოჩნდა, უმეტეს მათგანს მსახიობობა სურდა, თუმცა თეატრში არცერთი მათგანი იყო ნამყოფი.



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს
დიმიტრი ხვთისიაშვილს

მიმართვა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიღებს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სოციალურ პროექტებს ამზადებენ. საინიციატივო ჯგუფის მოზარდი გაზრდილი საზოგადოების ინტერესი მოესადაო ბავშვთა სახლების მცხოვრები-აღსაზრდელების მიმართ და აირჩიეს ამ სოციალურ-აკტივობებზე. პროექტის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები პირად მარგალიტი, ია ხვადაგანი და თამთა ოთხია ეწვევიან ბავშვთა დღისა და კრიზისული ცენტრს" სადაც 30 აღსაზრდელი ცხოვრობს, ასაკობრივი კატეგორია 6 -18 წლამდე.

მოზარდების სურვილიდან გამომდინარე, მოგესალმოთ თხოვნით, რომ მოიწვიოთ ბავშვები სპექტაკლზე - „ახალი წელის ღამის კომედია სტუმარი." რომელიც ჩვენ მაქვს, 20 დეკემბერს 15:00 გაიმართება.

[illegible] საერთაშორისო უნივერსიტეტის [illegible] ფაკულტეტის დეკანი:
ირინა ფეფერია

მოზარდების სურვილიდან გამომდინარე პროექტის ორგანიზატორებს ბევრი არ უფიქრიათ და გადაწყვიტეს აღსაზრდელები თეატრში მიეწვიათ. ამისათვის დაუკავშირდნენ თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სთხოვეს დახმარება. აღსაზრდელების ასაკიდან გამომდინარე, პროექტის ორგანიზატორებმა მიიჩნიეს, რომ სპექტაკლი - ,,ჩვენ გველის დიდება" კარგი არჩევანი იყო. სპექტაკლის არჩევაში აქტიურად მონაწილეობდა სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ღვთისნიაშვილი, რომელიც აქტიურად ჩაერთო საორგანიზაციო საქმეებში, მან უმასპინძლა აღსაზრდელებს და სპექტაკლის დაწყებამდე თეატრი დაათვალიერებინა. სამხატვრო ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მსგავს აქტივობებს მიესალმება და ყოველთვის მზად არის თანამშრომლობისთვის. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. დღის ბოლოს მოზარდებთან ერთად მოეწყო დისკუსია, განიხილეს თითოეული გმირი, მოზარდებმა სურვილი გამოთქვეს ხშირად მოეწყოთ ასეთი ტიპის აქტივობები.

იმისათვის, რომ პროექტს არ ჰქონოდა ერთჯერადი ხასიათი, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს აღსაზრდელების თეატრში სიარულისთვის მიეცათ პერმანენტული ხასიათი, რაშიც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მათ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრმა. პროექტის შედეგად, ახალგაზრდებმა პირველად ნახეს თეატრი და მათთვის ყველაზე საყვარელი პროფესიის ადამიანები. გამომდინარე იქიდან, რომ თეატრში სიარული არ იქნება ერთჯერადი ხასიათის, მათ ხშირად მოუწევთ კულტურულ-საგანმანათლებლო გარემოში ინტეგრაცია, მათი ყოველდღიური მოღვაწეობის სივრცე გასცდება მიუსაფარ ბავშვთა ცენტრის კედლებს.

ერთად ვებრძოლოთ ლეიკემიას

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *მარიამ სულავა,*

ნინიკო ბერიძე,სალომე ბარამიძე,

ვლადიმერ ჭიტაძე,გვანცა კვარაცხელია

პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*

2015 წელი

დღესდღეისობით ლეიკემია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს მასშტაბით ძალიან პრობლემური და გადაუჭრელია, მისი განკურნება ძალიან დიდ დროს და ფინანსებს მოითხოვს. საქართველოში ამ დაავადებით ბევრი ადამიანია დაავადებული, სტატისტიკური თვალსაზრისით ლეიკემია უფრო მეტად ბავშვებშია გავრცელებული.

ლეიკემიით დაავადებული ბავშვები და მათი ოჯახები ყოველდღიურად უდიდესი პრობლემების წინაშე დგანან, მკურნალობა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. დაავადებულ ბავშვებს ყოველდღიურად უწევთ არასასიამოვნო პროცედურების გავლა, ისინი მთელს დღეებს ატარებენ სამკურნალო დაწესებულებაში, მიუხედავად სამედიცინო პერსონალის ყურადღებისა, პროცესი მაინც დამთრგუნველი და სტრესულია. ამიტომაც მიზნად დავისახეთ მცირედით დავხმარებოდით და წინასაახალწლოდ ერთი დღე გაგვეხალისებინა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის. ჩვენ ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივმართეთ იაშვილის კლინიკის პროფესორს ონკოჰემატოლოგიური დეპარტამეტის ხელმძღვანელს ქალბატონ ასმათ შენგელიას, რის შედეგადაც შევიტყვეთ, რომ იაშვილის კლინიკას ჰქონდა სახლი, სადაც რაიონებიდან ჩემოსული ლეიკემიით დაავადებული ბავშვების ოჯახები ცხოვრობდნენ, რადგან მათ არ ჰქონდათ ქალაქში გასაჩერებელი ადგილი. იმ პერიოდისთვის სახლში 5 დაავადებული ბავშვი ცხოვრობდა. გარდა ამისა, ქალბატონმა თამარმა შემოგვთავაზა იაშვილის სისხლის ბანკში სისხლი ჩაგვებარებინა, რადგან მათ სისხლის დეფიციტი ჰქონდათ.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ვესტუმრეთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, რომლებსაც გადავეცით საჩუქრები და მთელი დღე მათთან ერთად გავატარეთ, ბევრი ვეთამაშეთ. როდესაც ჩვენ

ბავშვებისთვის საჩუქრებს ვყიდულობდით ეს კეთილი საქმე ბევრმა გამყიდველმა მოგვიწონა და ასევე, მათაც მიიღეს მონაწილეობა და გვთხოვეს მათი სახელითაც გადაგვეცა საჩუქრები ბავშვებისთვის.

პროექტი არ დასრულებულა, ასეთი ტიპის აქტივობები იქნება მრავალჯერადი ხასიათის. ვგეგმავთ, პროექტმა უფრო მასშტაბური სახე შეიძინოს. სულხან-საბა ორბელიანის უნოვერისტეტმა და ჩვენ გადავწყვიტეთ სისხლის ბანკი მოვიყვანოთ უნივერსიტეტში და ამ კეთილ საქმეში უნივერსიტეტის ყველა სტუდენტმა, ლექტორმა და თანამშრომელმა მიიღოს მონაწილეობა და გაიღონ სისხლი და გაადაარჩინოს ლეიკემიით დაავადებული ბავშვები.

მარტივი ქველმოქმედება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *გიული ბოლქვაძე,*

თეა აბუსელიძე, ხატია ჯიჯავაძე,

ედუარდ დუმბაძე

პროექტის ხელმძღვანელი: *დავით სამნიძე*

2015 წელი

პროექტი აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოებისათვის გამოსადეგი. შესაძლებელია, სტუდენტმა იფიქროს, რომ შეეჭიდოს რაიმე მარტივს, რითაც მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაგრამ ამავდროულად შესაძლებელია საზოგადოებისათვის რაიმე ღირებული გაკეთდეს.

ხშირად, სტუდენტს ბიბლიოთეკაში შესვლისას სასურველი წიგნი არ ხვდება. ამავდროულად, ბევრი ადამიანი ფურცლებს ნაგავში ყრის და ეს ფურცლები უსარგებლოდ ნიავდება. მეორეს მხრივ, მათი სწორად გამოყენებით შესაძლებელია გამოყენებული ქაღალდისათვის ახალი ფუნქციის მინიჭება. სწორედ ამიტომ, დაგეგმილი პროექტი მიზნად ისახავდა ბიბლიოთეკაში წიგნების შეტანას. პროექტი უნდა დაწყებულიყო ნულიდან, ანუ არაფრისგან მიღებულიყო საზოგადოებისათვის სასარგებლო რამ. მას შემდეგ, რაც პროექტის ჯგუფმა ერთხმად მოიწონა ეს იდეა, დაიწყო მუშაობა იმისათვის, რომ მაკულატურას ახალი სიცოცხლე მინიჭებოდა.

პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულები იყვნენ ბათუმის მერია და შპს სანდასუფთავება.

თავდაპირველად პროექტში ჩაერთო ბათუმის მერია. ისინი ჯგუფის თხოვნით დაუკავშირდნენ შპს სანდასუფთავებას და სთხოვეს პროექტისთვის მხარი დაეჭირათ. მართლაც, სანდასუფთავების სამსახურს ძალიან მოეწონა პროექტი და გამოყვეს ურნები, რითაც შესაძლებელი იყო მაკულატურის შეგროვება. დამზადდა ურნებზე გასაკვრელი

ბროშურები, წარწერით ,,მარტივი ქველმოქმედება'', რომლის მიზანიც იყო ადამიანების სტიმულირება: შეგვიძლია მარტივი საქმითაც გავხდეთ ქველმოქმედები.

ურნები განლაგდა სხვადასხვა დაწესებულებასთან, რომლებიდანაც ყოველდღე გადიოდა უამრავი ქაღალდი. შეგროვდა მაკულატურა, რომელიც ჩაბარდა და შედეგად მიღებული თანხით შესაძლებელი გახდა 11 წიგნის შეძენა. შეძენილი წიგნები იყო განკუთვნილი იყო ჩაქვის პირველი საჯარო სკოლისათვის, ამიტომ აირჩა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ამ სკოლაში არ მოიპოვებოდა.

სკოლაში ძალიან დიდი სიხარულით მიიღეს საჩუქრები და პროექტმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. იქ განცდილმა სიხარულმა გადაფარა ყველა ის დაღლილი დღე. ბავშვებს ახლა უკვე ის წიგნები ჰქონდათ, რომელთა წაკითხვაც დიდი ხანია სურდათ. სწორედ ამ პროექტმა მისცა მათ შანსი წაეკითხათ მათთვის სასურველი, მაგრამ მიუწვდომელი ლიტერატურა.

გარდა იმის შედეგისა, რაც უშუალოდ პროექტმა მოიტანა ჩაქვის პირველი საჯარო სკოლისათვის, პროექტზე მომუშავე სტუდენტებშიც შეიცვალა დამოკიდებულებები. მათთვის ნათელი გახდა, რომ პროექტი ღირებულ საქმეს ემსახურებოდა. შედეგად, მცირედით, მაგრამ მაინც მოგვარდა ორი პრობლემა: განიმუხტა მაკულატურით დანაგვიანებული ადგილები და სკოლა უზრუნველყოფილ იქნა ხელმიუწვდომელი კლასგარეშე ლიტერატურით. ამასთანავე, პროექტმა ბუნებასაც მოუტანა სარგებელი, რადგან მინიმალურად, მაგრამ მაინც შეამცირა წიგნის წარმოებისათვის მოჭრილი მცენარეების რაოდენობა.

წიგნი ნათელი მომავლის საწინდარია, მაკულატურის მეორე სიცოცხლე კი – წიგნია.

გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

პროექტის ავტორი: ნათია მელიქიშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: *გიორგი თუთბერიძე*

2014 წელი

ქართულ–ამერიკულ უნივერსიტეტში დაიგეგმა პროექტი „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“. პროექტის მიზანი უშუალოდ მის სახელწოდებას უკავშირდება. პროექტის ჯგუფის აზრით, სიცოცხლის გადარჩენა უდიდესი სიკეთეა, რისი გაკეთებაც ყველას შეუძლია ექვს თვეში ერთხელ. თითოეული ადამიანის მიერ გაღებული სისხლით შესაძლებელია მინიმუმ სამი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა.

რაც მთავარია, სისხლის გაღება არ წარმოადგეს დონორისათვის საშიშროებას, პირიქით, დონაციიდან X-XI დღეს იწყება ორგანიზმის სტიმულაცია, ახალი სისხლის წარმოშობა და იმუნური სისტემის მკვეთრი გაძლიერება.

პროექტში ჩაერთო, ძალიან ბევრი სტუდენტი და ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი გიორგი თუთბერიძე, ისევე, როგორც შპს “სისხლის ბანკი”. იყვნენ ისეთებიც, ვისაც სისხლის გაღება სურდა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან როგორც ვიცით იმისთვის, რომ გაიღო სისხლი და გადაარჩინო ადამიანის სიცოცხლე, უნდა აკმაყოფილებდე შემდეგ მოთხოვნებს:

- დონორი არ უნდა იყოს B და C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს გადატანილი A ჰეპატიტი (ბოტკინი);
- სტომატოლოგთან ვიზიტიდან გასული უნდა იყოს 4 თვე;
- ქონის შემთხვევაში, ტატუს გაკეთებიდან გასული უნდა იყოს ერთი წელი;
- არ შეიძლება ორსულისთვის და მეძუძური დედისთვის;
- არ უნდა ღებულობდეს პრეპარატებს (ანტიბიოტიკი, ჰორმონი);
- ბოლო 2 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს გაკეთებული ქირურგიული ოპერაცია;
- არ უნდა იყოს აცრილი ბოლო 2 თვის განმავლობაში;

- არ უნდა ჰქონდეს მიღებული ალკოჰოლი ბოლო 24 საათის განმავლობაში;
- დონორის წონა უნდა იყოს 51 კგ-ზე მეტი.

ადამიანის სისცოცხლის გახანგძლივება ყველაზე მნიშვნელოვანია, თან როცა ეს ძალიან მარტივად შეგიძლია გააკეთო. ამიტომ პროექტი რომ არ ყოფილიყო ერთჯერადი, გადავწყვიტეთ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ შპს „სისხლის ბანკსა“ და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულიყო მემორანდუმი. მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები არიან მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებული შპს „სისხლის ბანკის“ აღმასრულებელი დირექტორი, თამარ ლოლიაშვილი და ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი და ვიცე–პრეზიდენტი ზაზა რუხაძე.

მემორანდუმის თანახმად, ყოველი წლის თერთმეტ დეკემბერს, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ჩატარდება პროექტი „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“, რაც ერთგვარი საახალწლო საჩუქარიც იქნება მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მყოფი, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის.

მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სისხლის კომპონენტების უსასყიდლოდ გადაცემას ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე და ნებისმიერ სამკურნალო დაწესებულებაში.

აქციის თითოეულ მონაწილეს დაუდგინდა სისხლის ჯგუფი; ჩაუტარდა გამოკვლევა იმუნო - ფერმენტული მეთოდით შემდეგ ინფექციებზე: ჰეპატიტი B - HbsAg; ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი - HiV; ჰეპატიტი C - HCV; სიფილისი - Syphilis.

იმისათვის რომ გადაარჩინო სიცოცხლე არ არის აუცილებელი იყო ექიმი, ამისათვის თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ექვს თვეში ერთხელ მივიდეს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში და გაიღოს სისხლი. თითოეული ადამიანის მიერ გაღებული სისხლით შესაძლებელია მინიმუმ სამი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. პროექტის ფარგლებში ერთხელ უკვე ჩაბარდა სისხლი “სისხლის ბანკში” და რაც მთავარია ეს ღონისძიება სამომავლოდ პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

სამოქალაქო ცნობიერების კვალდაკვალ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორი: *ბექა ბაციკაძე*

პროექტის ხელმძღვანელი: *ციცინო ბუკია*

2014 წელი

ჩვენი პროექტი დაიგეგმა ,,კურს დემოკრატია და მოქალაქეობის ფარგლებში", რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. კურსი მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან ჩვენ შევძელით მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ მიზნად დავისახეთ საბოლოოდ გამოგვესწორებინა კონკრეტული მოქალაქის სოციალური პრობლემა.

წყაროს მეშვეობით, ჩვენ მივაგენით ქალბატონს, რომლის ცხოვრებაც მეტად შემზარავი და ტრაგიკულია. ნათელა მაჭარაშვილი, ქალაქ რუსთავიდან, 77-წლის არის. სრულიად მარტოხელა, პირველი ჯგუფის ივალიდი (მხედველობა დაქვეითებული). მისი ყოფა საკმაოდ მძიმეა. ამდენად ქალბატონი, სოციალურად დაუცველთა ნუსხას მიეკუთნება. შესაძლოა არარელევანტურია მოგახსენოთ მისი ცხოვრებისეული ტრაგიზმის შესახებ, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ქალბატონს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს დაღუპული. გამომდინარე აქედან, მასთან კომუნიკაციას ძალიან მძიმე ემოციური ფონი ახლდა თან, რამაც უფრო მეტად მოტივირებულნი გაგვხადა. როგორც მოგახსენეთ, ნათელა მაჭარაშვილი სოციალურად დაუცველია. კომუნალურ გადასახადებს „სულადობიდან" გამომდინარე, ქალაქის მერია უხდის. იგულისხმება, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყლის გადასახადი.

პრობლემა სწორედ წყლის გადასახადშია. ეს ისტორია 2007-წლიდან დაიწყო, როდესაც წყლის მრიცხველი დაუყენეს. აქ ჩნდება კითხვა, იყო საჭირო თუ არა საერთოდ მრიცხველის დაყენება?! გარკვეული დროის შემდგომ, ე.წ „უნიტაზის წყლის ბიდონი" დაზიანებულა. რამაც განაპირობა წყლის უწყვეტ რეჟიმში დინება, რაც პირდაპირ აისახა წყლის მრიცხველზეც. ამ ყველაფრის საფუძველზე დაგროვდა საკმაოდ დიდი ოდენობის

გადასახადი. იყო დაპირებები, რომ მიხედავდნენ პრობლემას, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა.

ამბის გაგებიდან რამდენიმე დღეში ქალაქის მერიას ვესტუმრეთ, გავესაუბრეთ ბატონ-თენგიზს. მახსოვს ინფორმირებული იყო პრობლემის შესახებ. ჩვენ საკითხი საკმაოდ მკაფიოდ დავსვით, „მივხედოთ პრობლემას ოპერატიულად ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე“ - აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით ამ მარტივად მოსაგვარებელ საკითხს, პროცედურული სირთულეებიც ახლდა თან. საქმე მერიასთან, პარარელურად „რუსთავის-წყალთანაც“ უნდა გაგვერკვია. კომუნიკაცია, როგორც ბატონ თენგიზთან, „რუსთავის-წყალთანაც წარმატებით შედგა“. აქ საკმაოდ საინტერესო პრეცედენტი დაფიქსირდა. თანხის ნაწილის გაქვითვაში მზაობა ხსენებულმა კომპანიამაც გამოთქვა.

მახსოვს, ჩემი ბოლო საუბარი ქალბატონ ნათელასთან, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შესაძლოა პრობლემა უჩვენოდაც მოგვარებულიყო, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ ჩვენ კატალიზატორის, როლი წარმატებით მოვირგეთ! პროექტი ერთჯერადი ხასიათის იყო, თუმცა მან ამ ერთჯერადი მოქმედებით საბოლოოდ შეძლო ქალბატონი ნათელას კონკრეტული, თუმცა ძალიან მძიმე პრობლემის აღმოფხვრა. დღეისათვის დავალიანება განულებულია.

ნაწილი V

ქალაქი და მოქალაქეები

სუფთა თბილისი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები :*ანა ჯანჯარია,*

ანა ახვლედიანი დავით ახლოური,

დავით ცარციძე, მაია დვალიშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: *კახაბერ ურიადმყოფელი*

2016 წელი

პროექტის დაგეგმარებისას წამოიჭრა პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა დედაქალაქს. დასუფთავების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და არის თბილისში. პროექტის ჯგუფმა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაირკვა რომ, ქალაქში არის დასუფთავების, პარკირებისა და საცობების პრობლემა. მთავარი მიზანი იყო სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით სტუდენტებს წვლილი შეეტანათ ამ პრობლემების გადაჭრაში, რაც გულისხმობდა რამდენიმე საფეხურს, რომლებიც ეტაპობრივად ხორციელდებოდა.

მას შემდეგ, რაც ჩატარდა გამოკითხვა და დაფიქსირდა საზოგადოების აზრი სხვადასხვა საკითხების მიმართ, ჯგუფი გადავიდა მეორე ეტაპზე, რომელიც გულისხმობდა სხვადასხვა საკითხების განხილვას კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად. დავუკავშირდით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, გარკვეულმა ნაწილმა არ გამოხატა ინტერესი ჩვენი პროექტის მიმართ, მაგრამ რამდენიმე ორგნიზაციამ ითანამშრომლმა ჩვენთან და მონაწილეობდა პროექტის განხორციელების პროცესში, კერძოდ: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „რიოს“. მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შესახებ, ასევე მოგვცეს მიმართულება, თუ როდის და რა ფორმით უფრო ეფექტური იქნებოდა ჩვენ მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. აღნიშნულ აქტივობებში იგულისხმება: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დასუფთავება, სხვადასხვა ტიპის მძღოლების „დაჯილდოვება“. აქტივობების განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იყო მეეზოვეების აზრი და შეხედულებებიც.

პარკინგის პრობლემასთან დაკავშირებით დაიბეჭდა სამი ტიპის სტიკერი: 1) პარკინგის ამკრძალავი; ამ სტიკერებით „ჯილდოვდებოდნენ“ ის მძღოლები, რომლებიც არღვევდნენ პარკირების წესებს;

2) შშმპ-სთვის განკუთვნილ პანდუსებზე მანქანის გამჩერებელი მძღოლებისათვის; ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად არცერთი მანქანა არ იყო გაჩერებული პანდუსზე.

3) ასევე დაჯილდოვდნენ კარგი მძღოლები.

გამოკითხულთა გარკვეული რაოდენობა აღნიშნავდა იმას, რომ ქალაქში წარმოქმილი პრობლემები საზოგადოების დიდი ნაწილის ინდეფერენტული დამოკიდებულებითაა გამოწვეული. ჯგუფის წევრები საზღვარგარეთ მცხოვრებ თანატოლებს დაუკავშირდნენ იმის გასაგებად, თუ რა სიტუაციაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში. ემიგრანტი სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ქალაქი, სადაც ცხოვობენ, მათი სახლია, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ თითოეული მოქალაქე ზრუნავს თავის საცხოვრებელ ადგილზე.

თბილისელებს ასევე აწუხებთ ქალაქში ველოგზის არარსებობა, რაც საცობების ერთერთი გამომწვევი მიზეზია. ველოგზის არსებობა თბილსელებს დაეხმარებოდა ველოკულტურის დონის ამაღლებაში და გზებზეც განიმუხტებოდა მდგომარეობა.

ამასთან დაკავშირებით პროექტის ჯგუფი დაუკავშირდა თბილისის მერიას, სადაც მოგვაწოდეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მერიაში აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, 2016 წლის ბიუჯეტში ველოგზის მშენებლობა არ არის გათვალიწინებული, თუმცა, განახლდება არსებული და დაემატება ურნები.

ჯგუფის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ საზოგადოება მზადაა ითანამშრომლოს მთავრობასთან აღნიშნული პრობლემების გადაჭრის საკითხში. მხოლოდ საზოგადოება ან მთავრობა ცალ -ცალკე ვერ გადაჭრის ამ პრობლემებს.

ჩვენი ქალაქი ჩვენი სახლია, ამიტომ მოვუაროთ მას და არ დავაბინძუროთ.

ერთად ვიცხოვროთ სუფთა თბილისში!

ბათუმის ტურისტული გზამკვლევი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

პროექტის ავტორები: *ალა ფაღავა,*

მართა ბალაძე,როზა ქარცივაძე

თემურ კალანდარიშვილი, ნიკა სურმავა

პროექტის ხელმძღვანელი: *იაგო წულაძე*

2014 წელი

ჩვენ, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტებმა, პირველი კურსის მეორე სემესტრში გავიარეთ სასწავლო კურსი ,,დემოკრატია და მოქალაქეობა“, რომლის ფარგლებშიც მოგვიწია პროექტზე მუშაობა. ეს საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო აღმოჩნდა. პრობლემატური საკითხის გამოსავლენად, თავდაპირველად ჩავატარეთ მცირე მოკვლევა, ჩვენ მივმართეთ ჩვენს მეგობრებს, ოჯახის წევრებს, საზოგადოების წარმომადგენლებს კითხვით, თუ რა წარმოადგენდა მათთვის პრობლემას, შედეგად კი მივიღეთ საკითხთა მთელი ნუსხა, რომელთაგან გამოვარჩიეთ ის პრობლემა, რაც უშუალოდ ჩვენ შეგვხებია. მიუხედავად, იმისა რომ სხვა ქალაქებთან შედარებით ბათუმში კარგადაა ორგანიზებული ტურისტული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ ბევრი დეტალია მოსაწესრიგებელი, მაგალითად, როგორიცაა: ტურისტული ნიშნები, დაფები, რუკები და ა.შ. ჩვენ ბათუმის მკვიდრნი ხშირად ვპასუხობთ ჩამოსულ სტუმრეს კითხვებზე თუ სად მდებარეობს ესა თუ ის ობიექტი. ფაქტია ტურისტებს გადაადგილებაში ჯერ კიდევ სჭირდებათ ადგილობრივების დახმარება.

პროექტზე მუშაობა გამოკითხვით დავიწყეთ. რესპონდენტებთან ჩვენი შეკითხვა იყო შემდეგი: ,,გქონიათ შემთხვევა თქვენთვის ტურისტს ან ვიზიტორს ეკითხა ქალაქში არსებული ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა“. გამოკითხულთა 97%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა. ამის შემდგომ შევხდით ტურისტულ სფეროში მომუშავე პერსონალს, თვით ტურიზმის დეპარტამენტში

მომუშავე კადრსაც გავესაუბრეთ. მათ ჩვენს მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს. ჩვენ მიერ დასმულ საკითხზე თავიანთი პოზიცია გამოხატეს და ჩვენი იდეაც მოიწონეს.

აღნიშნული პრობლემა გავაცანით არასამთავრო ორგანიზაციას ,,დემოკრატიის ინსტიტუტი". აღნიშნული საზოგადოების წევრმა არჩილ ხახუტაიშვილმა გვირჩია, რომ ჩვენ წერილი მიგვეწერა ა/რ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისათვის ბატონ - გენო გელაძესათვის. ვისგანაც დადებითი პასუხი მივიღეთ, მან ჩვენ მიერ დასმული საკითხი დღის წესრიგში დააყენა და მრჩეველთა საბჭოს უახლოეს სხდომაზე მიგვიწვია. სხდომაზე წარვადგინეთ ჩვენი პროექტი და მოწონება დავიმსახურეთ. აღმოვაჩინეთ ისიც, რომ აღნიშნული პრობლემა არა ბათუმისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის ყოფილა დამახასიათებელი. ჩვენ ვაჩვენეთ რამდენიმე ქვეყნის ტურისტული ნიშნულები, რათა უფრო ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო დამსწრე საზოგადოებისათვის ჩვენ მიერ შესწავლილი საკითხი და რამდენად ესთეტიური და კომფორტული იქნებოდა სიტუაციის გამოსწორების შემდეგ მოძრაობა და გადაადგილება ქალაქში.

ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად მივიღეთ გრძელვადიანი შედეგი, რომელიც წარმოადგენს გამარტივებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს მომავალში ტურისტების რაოდენობაზე და მათი კმაყოფილების ხარისხზე.

პროექტზე მუშაობამ დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს პიროვნულ განვითარებაში. გავაანალიზეთ, რომ საკუთარი მიზნის მისაღწევად ბრძოლაა საჭირო, მითუმეტეს, თუ ის საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება. უკეთ გავიცანით ერთმანეთი და ერთად გუნდური მუშაობა ვისწავლეთ. გარდა ამისა, ვისწავლეთ ერთმანეთის აზრის პატივისცემა, არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მივხდით, რომ ,,ძალა ერთობაშია".

ნაწილი VI

ადამიანის უფლებათა დაცვა

გენდერული პრობლემატიკა საქართველოში (ქალთა საკითხი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *თამთა ჭრიკიშვილი,*

ანა მესხი

პროექტის ხელმძღვანელი: *მიშა შავთვალაძე*

2014 წელი

სახელმწიფო ხელისუფლებას ძალის კანონიერი გამოყენების უფლება აქვს, ამიტომ ის ვალდებულია, რომ საზოგადოებაში უზრუნველყოს მშვიდობა და თავისუფლება, სწორედ ამ მიზნით გადასცემს ხალხი საკუთარ უფლებამოსილებას თავის წარმომადგენლებს. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ სახელმწიფოში სტაბილურობის დამყარება შეძლოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები. ხოლო, როდესაც ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ქალების მდგომარეობაზე და მიმოვიხილოთ ის რეგულაციები და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ქალთა საკითხებს ეხება. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში ქალებთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალურობის წარმოჩენა გახლდათ. უპირველეს ყოვლისა, შევეცადეთ მოგვეხდინა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზი, გაგვეაზრებინა სახელმწიფოს როლი გენდერული ბალანსის მიღწევის კუთხით, წარმოგვეჩინა ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმები და დღესდღეობით ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.

პროექტის ფარგლებში განხილული იქნა სახელმწიფოს მართვის სისტემა, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა, მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა და რაც მთავარია, სტუდენტების როლი პრობლემის გადაჭრის პროცესში.

პროექტის მიმდინარეობაში ჩართულები იყვნენ, როგორც პროექტის ჯგუფის წევრი, ისე არაწევრი სტუდენტები.

არსებული რეგულაციების ანალიზის გარდა, პროექტის ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა ნორვეგიის გენდერული პოლიტიკა და მოახდინა მისი საქართველოსთან შედარება. როგორც მოგეხსენებათ, ნორვეგია გენდერული თანასწორობის მხრივ მოწინავე სახელმწიფოა და მისი გამოცდილების გაზიარება ჩვენი ქვეყნისთვის, ვფიქრობთ, წარმატების მომტანი იქნება. ჩვენ ვითვალისწინებთ რა საქართველოში არსებულ სიტუაციას და მოვითხოვთ 30%–იან კვოტას სახელმწიფო და სახელმწიფო–კერძო პარტნიორობის კომპანიების ბორდში, წარმოდგენილ კომპანიებს უნდა დაევალოთ, რომ თითოეული სქესის თანამშრომელთა რაოდენობა იყოს მინიმუმ 30%. ამისათვის ჩვენი ჯგუფი გეგმავს პარლამენტში კანონის ინიცირებას, რის გამოც დავიწყეთ მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვება.

პროექტის ფარგლებში ქალთა უფლებები რამდენიმე კუთხით ვიკვლიეთ. პირველი ეს იყო პოლიტიკური უფლებები, რომელშიც მოიაზრებოდა „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ". გარდა ამისა, შევეხეთ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებას, ქალთა უფლებების დარღვევას კონფლიქტურ სიტუაციებში,

საკუთრების უფლებას, განათლების უფლებას, შრომის უფლებას (საქართველოს შრომითი კოდექსი) და შრომით მიგრაციას ქალაქებში. ასევე ვიმსჯელეთ ისეთ უფლებებზე, როგორებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებაა.

კვლევა მოიცავდა მთელს აუდიტორიას, განურჩევლად სქესისა, ვიკვლევდით როგორც ქალების, ისე მამაკაცების დამოკიდებულებებს და პროექტის მიზანი იყო, წვლილი შეგვეტანა სასიკეთო ცვლილებების გამოწვევაში. ინფორმაციის ნაკლებობა კი მრავალი გზით საჭიროებს დამუშავებას და საზოგადოებისათვის მიწოდებას. დღესდღეობით, ინფორმიციის ძალიან დიდ ნაწილს ადამიანი იღებს სოციალური ქსელების საშუალებით. სწორედ ამიტომ, სოციალურ ქსელ Facebook-ში შევქმენით ჯგუფი - „გენდერული თანასწორობა/Gender Equality", სადაც მოვიწვიეთ ჩვენი Facebook მეგობრები, მათ კი თავიანთი მეგობრები და ვეცადეთ, მაქსიმალურად გაგვეზარდა ჯგუფის წევრთა რაოდენობა და ასევე, მოგვეხდინა მისი პოპულარიზაცია. ჯგუფი შეიქმნა საზოგადოების ინფორმირებისათვის, რათა როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს ჰქონოდათ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ.

პროექტის ფარგლებში შევეცადეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა საზოგადოების ინფორმირებაში და ცნობიერების დონის ამაღლებაში. ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-65 წლამდე 470-მა რესპოდენტმა. კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, რამდენადაა დაცული საქართველოში გენდერული ბალანსი. კითხვარი შედგებოდა 6 კითხვისაგან, რომლებიც შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: რამდენადაა დაცული საქართველოში გენდერული ბალანსი? როგორ ფიქრობთ რა განაპირობებს ქალთა სამოქალაქო აქტივობის დაბალ დონეს? როგორ ფიქრობთ ქალი უკეთესი ლიდერია თუ კაცი? ყველაზე უკეთესად სად შეძლებს ქალი მისი შესაძლებლობების რეალიზაცებას? ვის მოიაზრებთ ოჯახის მარჩენლად? რა გზებითაა შესაძლებელი გენდერული ბალანსის მიღწევა?

გარდა გამოკითხვისა, დავარიგეთ ფლაერები, რომლებზეც ადამიანის „უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე–2 მუხლი იყო დაბეჭდილი: „ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა" და სლოგანი – ***ქალი ადამიანია!***

პროექტის ჯგუფი შეეცადა წარმოეჩინა პრობლემის აქტუალურობა, გაეაზრებინა სახელმწიფოს როლი გენდერული ბალანსის მიღწევის კუთხით, გაეანალიზებინა ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ადამიანის უფლებების ჭრილში, ეკვლია სამოქალაქო საზოგადოების როლი და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშნელობა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში.

შედეგად, როგორც სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფის წევრების, ისე ფლაერების მიმღებთა და კვლევაში მონაწილეთა ინფორმაციულობის დონე გაიზარდა. მათ მეტი იციან ქალთა უფლებებისა და ზოგადად, უფლებრივი თანასწორობის შესახებ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *თამთა ხურცილავა,*

ლიკა კვინჩია, კახა ყიფიანი,

ალექსანდრე ქასრაშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: *თამარ ქარაია*

2016 წელი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი უშუალოდ უკავშირდება თითოეულ მოქალაქეს და მის გარშემო მიმდინარე პროცესებს. სწორედ ამიტომ, ჩვენმა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეძებნა ამ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები, რომელიც არ იქნებოდა ერთჯერადი ხასიათის. აღნიშნული პრობლემა ერთი შეხედვითაც კომპლექსური ხასიათის ჩანდა, თუმცა მისი დეტალურად გაცნობის შემდეგ გამოიკვეთა მთელი რიგი თავისებურებანი. ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გაირკვა, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილში ეს პრობლემა მწვავედ იჩენს თავს და უშუალოდ ეხება როგორც მათ ჯანმრთელობას, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობასა და მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებს.

მოსახლეობის აზრის და დამოკიდებულების უკეთ გასაგებად გადავწყვიტეთ მათთან უშუალო კონტაქტი დაგვემყარებინა და ჩავატარეთ კვლევა. შევადგინეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა 5 კონკრეტული კითხვისგან და გამოვკითხეთ 50 ადამიანი. გამოკითხვამ ასეთი შედეგი აჩვენა:

1) გსმენიათ თუ არა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის შესახებ?
   დიახ - 76%; არა - 14%; მიჭირს პასუხის გაცემა - 10%.
2) როგორ თვლით, რამდენად ხშირად ირღვევა თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები?
   ხშირად - 42%; იშვიათად - 38%; არასდროს - 20%.
3) მომსახურების რომელ დარგში ირღვევა ყველაზე ხშირად თქვენი უფლებები?
   ჯანდაცვა - 12%; გაყიდვების (მარკეტი, ბაზარი, კაფე...) - 36%; საჯარო (იუსტიციის სახლები, სასამართლო...) - 4%; ტრანსპორტი - 22%; ონლაინ-სფერო - 6%; არსად - 20%.
4) რას მოიმოქმედებთ თუ ხედავთ, რომ თქვენი სამომხმარებლო უფლებები ირღვევა?
   არაფერს - 22%; პრეტენზიას გამოვთქვამ პროდუქციის მომწოდებლის მიმართ - 70%; მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციას- 6%; სხვა პასუხი - 2%.
5) როგორ ფიქრობთ, ვის აკისრია მთავარი როლი მომხმარებელთა უფლებების დაცვაში?
   თავად მომხმარებელს - 26%; სახელმწიფოს - 64%; არასამთავრობო ორგანიზაციებს - 10%.

ვახსენეთ რა პრობლემის აქტუალობის გამომწვევი ფაქტორები, შესაბამისად, ჩვენი მიზანიც სწორედ მათზე ყურადღების გამახვილებასა და პრობლემის სიმწვავის შემცირებას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის დასაწყისში პარლამენტში მოხდა მომხარებელთა უფლებების შესახებ კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ. აღნიშნული კანონპროექტი ემსახურება ყველა სფეროში მომხმარებლის უფლებების დაცვასა და ამავე უფლებების კანონის დონეზე აყვანას. იგი პირველი მოსმენით დამტკიცდა, თუმცა, მეორე სესიაზე მისი განხილვა შეჩერდა. იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ კანონპროექტის შემუშავებაში, ძირითადი წინააღმდეგობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ბიზნეს სექტორისგან მომდინარეობს.

განსაკუთრებით დაგვეხმარა საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავჯდომარე, ქალბატონი მადონა კოიძე, რომელმაც ჩვენთან საკმაოდ ნაყოფიერად ითანამშრომლა. სწორედ მან, ჩვენივე თხოვნით, ჩაატარა საჯარო ლექცია, სადაც დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა მომხმარებლების უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ პრობლემებსა და შესაძლო გადაჭრის გზებზე.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მუშაობა ამ სფეროში ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ საზოგადოებაში აგვემაღლებინა ცნობიერება და გაგვეხადა ის უფრო პროგრესული. ამ მიზნით ჩავატარეთ აქცია, განსხვავებული და საინტერესო ლოზუნგებით, რომლებიც ლაკონური მოწოდებებით ჩვენ ვრცელ სათქმელს გადმოსცემს.

შევაგროვეთ ხელმოწერები კანონპროექტის სისრულეში მოსაყვანად და ამავდროულად ვაცნობდით დაინტერესებულ პირებს რეალურად რა სიტუაციაა ამ საკითხთან დაკავშირებით და რა შეუძლიათ მათ ამის გამოსასწორებლად. შეუძლებელია არ ვახსენოთ ხალხის ემოციური და არაგულგრილი დამოკიდებულება, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ჩვენს თხოვნას და უყოყმანოდ გაგვიწიეს დახმარება.



რომ არა რამდენიმე პიროვნება, პროექტის შედეგები ასეთი ეფექტური არ იქნებოდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ზემოთ ხსენებული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ქალბატონი მადონა კოიძის როლი. იგი დაგვეხმარა იმაში, რომ პრობლემის არსს უფრო კარგად ჩავწვდომოდით. გავეცანით რა პრობლემის სიმწვავეს, უფრო მონდომებულად შევეცადეთ გვეზრუნა მისი მასშტაბების შემცირებაზე. ხსენებულმა პიროვნებამ მოგვაწყობინა საჯარო ლექცია. საჯარო ლექციის ორგანიზებაში დაგვეხმარა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ჩვენი ლექტორი, ქალბატონი თამარ ქარაია. ასევე ვიგრძენით ჩვენი მეგობარი კურსელების მხარდაჭერა, რომლებიც აქციის ორგანიზებაში დაგვეხმარნენ; უცნობი ხალხის - რომლებიც ინტერესდებოდნენ ჩვენი აქციის შინაარსით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ჩვენს აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა: დაესწრნენ ლექციას, გაიზიარეს ჩვენი აქციის იდეა, ხელი მოაწერეს კანონპროექტის მიღების რეზულუციას, აღნიშნეს, რომ ნამდვილად საჭირო თემატიკა შევარჩიეთ - ისინი დაინტერესდნენ ამ პრობლემით და ბევრი მათგანი დაგვპირდა, რომ ამიერიდან უფრო დიდ ყურადღებას გაამახვილებდა მის სამომხმარებლო უფლებებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ავამაღლეთ სამომხმარებლო კულტურა.

ჩვენ ვეცადეთ მაქსიმალურად დავხარჯულიყავით და გამოგვევლინა ჩვენი სურვილი და შესაძლებლობები. თუმცა, პროექტის დასაწყისში დასახული ზოგიერთი ამოცანა ბოლომდე ვერ განხორციელდა: დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ 15 000 ხელმოწერის შეგროვება. საბოლოოდ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენი პროექტის პირველი ეტაპი ამით დასრულებულია, თუმცა ჩვენი საქმიანობა ამ სფეროში ამით არ მთავრდება. მომავალში საჭიროა კანონპროექტის ხელახლა განხილვისთვის მოსახლეობის ხელმოწერების განსაზღვრული რაოდენობა, ჩვენ კი ვაპირებთ დაწყებული საქმიანობა გავაგრძელოთ.

პრობაციონერთა ინტეგრაცია საზოგადოებაში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *გიორგი თავბერიძე,*

რომეო მელაძე, გვანცა არაბიძე, პარმენ გურეშიძე

პროექტის ხელმძღვანელი: *ქეთევან კუხიანიძე*

2015 წელი

ჩვენი პროექტი „პრობაციონერთა ინტეგრაცია საზოგადოებაში“ მიზნად ისახავს იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებს. გამომდინარე იქედან, რომ არასრულწლოვანი პრობაციონერები ბევრ საკითხში შეზღუდულები არიან საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ გაგვეცნო მათთვის თავიანთი უფლებები და ამით მათ დავხმარებოდით საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

ჩვენი პროექტის საჭიროება მდგომარეობს იმაში, რომ დღესდღეობით არსებობს ხალხის კატეგორია, რომლებიც ცხოვრებაში ერთი მისატევებელი შეცდომის გამო უამრავ პრობლემას წააწყდა, რაც ხელს უშლის ჯანსაღი ცხოვრების აწყობაში. ვთვლით, რომ პრობაციონერთან ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პერიოდული კონტროლით და საჭიროა მათი უფრო აქტიური ჩართულობა საზოგადოებაში. თავის მხრივ, საზოგადოებამაც უნდა გამოიჩინოს ინტერესი და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პრობაციონერთა უფლებების განხორციელებას. ამ ყველაფრისათვის საჭიროა უფრო ინტენსიურად ჩატარდეს მსგავსი პროექტები. გარდა ამისა, ჩვენი პროექტი ხელს უწყობს არასრულწლოვნებში, განურჩევლად სოციალური ფენისა, დანაშაულის პრევენციას. კარგი იქნება თუ ხელისუფლება სწორად შეხედავს ამ საკითხს და უფრო მეტ შანსს მისცემს ახალგაზრდებს. ჩვენი პროექტიც იმ მოტივით არის დაწერილი, რომ შევცვალოთ საზოგადოების დამოკიდებულება პრობაციონერთან მიმართებაში და რაღაც დოზით მაინც გავაუმჯობესოთ მათი ცხოვრება.

პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა იურიდიული დახმარების სამსახური. ჩვენ გავესაუბრეთ ამავე სამსახურში სახაზინო ადვოკატებს, გავაცანით ჩვენი პროექტის მიზანი და ვთხოვეთ ჩაეტარებინათ ტრენინგი არასრულწლოვან პრობაციონერებთან. თანხმობის მიღების შემდეგ წავედით პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, სადაც სიამოვნებით დათანხმდნენ ჩვენს პროექტში ჩართვას. ამის შემდეგ ორგანიზება გავუწიეთ პროცესს და დათქმულ თარიღზე მოეწყო შეხვედრა იურიდიული დახმარების

სამსახურში, სპეციალურად ჩვენთვის გამოყოფილ აუდიტორიაში. შეხვედრას დაესწრნენ ახალგაზრდები, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით პრობაციონერები. დამსწრე საზოგადოება გაეცნო მათთვის საჭირო ინფორმაციას. შეხვედრისას ტრენინგი ჩაატარეს სისხლის სამართლის ადვოკატებმა. განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. დანაშაულის პრევენცია.
2. მსჯავრდებულების რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია.
3. საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.
4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.
5. პრობაციონერთათვის უფლებების გაცნობა.
6. განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.

პროექტისათვის საჭირო რესურსების შესაძენად დაფინანსება მოვიპოვეთ უნივერსიტეტის თვითმმართველობისაგან, კერძოდ, დავბეჭდეთ ბუკლეტები და მაისურები. გარდა ამისა, შევიძინეთ შეხვედრისათვის საჭირო ატრიბუტები.

ამ ყველაფრის ორგანიზებისათვის დაგვჭირდა დაახლოებით ერთი კვირა. რაც ჩვენი აზრით სრულიად საკმარისი იყო ყველაფრის სრულფასოვანი ორგანიზებისათვის.

როგორც ყოველთვის, წარმატება იზომება რეზულტატით და ჩვენს შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, რომ შედეგი მიღწეულია, რაც მომავალში არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირებით აისახება.

ამ ყველაფერმა შეიძლება საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივია და არ იქონიებს გავლენას ჩვენს შედეგზე. გამომდინარე იქიდან, რომ გვსურს ჩვენი პროექტის შესახებ ინფორმირებული იყოს არამარტო ტრენინგზე მყოფი აუდიტორია, არამედ საზოგადოების სხვა ნაწილიც, დავარიგეთ ბუკლეტები, რაც დაეხმარება ხალხს პრობლემის არსის გაცნობაში და ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების რეაქციაც შესაბამისი იქნება. ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტი განთავსდა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე. სადაც არის დეტალური ინფორმაცია პროექტის შინაარსზე და მისი განხორციელების აუცილებლობაზე. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=943276385693896&id=780308948657308&pnref=story

ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობები არ არის განგრძობითი ხასიათის, თუმცა შევძელით გაგვეზარდა ჩვენი პროექტის ბენეფიციარების ინფორმირებულობის დონე, რაც ვფიქრობთ, მომავალში აუცილებლად გამოიღებს შედეგს პრობლემის აღმოფხვრის ან შემცირების პროცესში.

ნაწილი VII

სასკოლო განათლება

მოსწავლის მძიმე ჩანთა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

პროექტის ავტორები: *ტუნაძე ნათა,*

ხოროიშვილი ბაია, კიკნაძე ბექა,

მახარაძე სპარტაკ, ცეცხლაძე მინდია.

პროექტის ხელმძღვანელი: *იაგო წულაძე*

2014 წელი

ცუდი განათება, არარეგულარული კვება, სხეულის არასწორი მდებარეობა - ეს სასკოლო პროცესის რისკებია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას და ამაზე ჩვენი მოკრძალებული კვლევაც მიუთითებს, რომ ზემოთ მოყვანილ რისკებს დაემატა ასევე მძიმე ჩანთაც.

ჩვენი თემის არჩევანი განაპირობა პრობლემის აქტუალობამ. მოსწავლეების პერიოდში ჩვენ გვაწუხებდა აღნიშნული საკითხი და ამ თემის არჩევის მიზეზი ის არის, რომ შევუმსუბუქოთ მოსწავლეებს „კუნძივით მძიმე ჩანთები“, დავიცვათ მათი ჯანმრთელობა და შევუქმნათ ჯანსაღი მომავალი.

მოსწავლეთა ჩანთის საშუალო წონა არის 5-6 კილოგრამი, ჩვენი კვლევის მიხედვით ამ წონის ჩანთებს ატარებენ როგორც პირველი კლასის, ასევე მაღალი კლასის მოსწავლეებიც, რაც განაპირობებს სქოლიოზის ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტებით, 6-9 წლის მოზარდის ხელჩანთა უნდა იყო 2-3 კილოგრამი, ხოლო ზურგჩანთა კი 3-4 კილოგრამი. აღსანიშნავია, რომ ლატვიასა და ესტონეთში სასკოლო ჩანთის წონას ოფიციალური რეკომენდაცია-მითითება არეგულირებს. 1-3 კლასელების მაქსიმალური წონაა 3 კგ, 4-6 კლასელების მაქსიმალური წონა 3.5 კგ, 7-9 კლასელების მაქსიმალური წონა კი 4.5 კილოგრამია. ავსტრალიაში კი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ მოზარდის ჩანთის წონა ბავშვის წონის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს.



პოპულაციაში გამოვლენილი პათოლოგიები, აჭარა 12 წლის 11 თვე

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ განგვეხორციელება შემდეგი აქტივობები: პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე გაზეთი „აჭარა“ სიამოვნებით დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე და გამოაქვეყნა სტატია „მძიმე ჩანთა“, ასევე გამოკითხა 400-მდე რესპონდენტი და შედეგების მისაღებად გავაგზავნეთ წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე.



მძიმე სასკოლო ჩანთის ტარების შედეგად გამოვლენილი პათოლოგიები

ამ პრობლემის მოგვარებისა და მოზარდის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ბევრი სხვა საშუალება არსებობს. სასკოლო ბიბლიოთეკების ქსელი მეტი სახელმძღვანელოებით უნდა მოვამარაგოთ, თუმცა შესაძლოა სასკოლო ბიბლიოთეკები შევავსოთ სახელმძღვანელოებით (რაც თითქოსდა ჩაფიქრებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფასო სახელმძღვანელოების ამჟამინდელი პროექტით). შემსუბუქების და დაბალანსების კიდევ ერთი გზაა - ელექტრონულ წიგნებზე გადასვლა. ეს გზა უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩანთის წონის რეგულირება. ამასთან, ჩვენი მოსწავლეები უმეტესად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობენ, ან ფეხით. დასავლეთის ქვეყნებში მათ სპეციალური ტრანსპორტით ამგზავრებენ, შესაბამისად ჩანთის ტარება მათ მცირე დოზით უწევთ. აღარაფერს არ ვამბობთ ჩანთების საერთაშორისო სტანდარტზე, ისინი გაცილებით მოსახერხებელი და კომფორტულია, ამ მიზნით შემოიღეს მგორავი ზურგჩანთები და დიზაინი ამ მიმართულებით სულ უფრო და უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი ხდება.



სამოქალაქო ჩართულობის ამაღლება რუსთავის სკოლის მოსწავლეებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: *რუსუდან ხავთასი,*

ნიკა გასილაშვილი-მჭედლიშვილი,

გიორგი ბერიაშვილი, ვახტანგ ნაჭყებია

პროექტის ხელმძღვანელი *: თამარ ქარაია*

2016 წელი

პროექტის თემის მოფიქრება ყველაზე რთული საქმე აღმოჩნდა ჩვენი ჯგუფისთვის. იყო სხვადასხვა იდეები, მაგრამ მათი განხორციელება ან რთული იყო ან ბევრ ფინანსურ დახმარებას საჭიროებდა სხვადასხვა ორგანიზაციებისგან. ამიტომ, გადავწყვიტეთ პროექტის თემად შეგვერჩია ისეთი მიმართულება, რომელიც იქნებოდა შედარებით მცირე მასშტაბის, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს პროექტზე თითქმის არ გვქონდა მუშაობის გამოცდილება.

მოგეხსენებათ, მიმდინარე კურსის მთავარი მიზანი არის მოქალაქეობრივი გრძნობის ამაღლება და გათავისება. მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი კი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ერთ–ერთ უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ და ავირჩიეთ პროექტის თემად „სამოქალაქო ჩართულობის ამაღლება რუსთავის სკოლის მოსწავლეებში“. იყო კითხვები თუ რატომ ავირჩიეთ რუსთავი – იმიტომ, რომ რუსთავი არის შედარებით მცირე მასშტაბის და გუნდი შედარებით ადვილად შეძლებდა ადამიანური რესურსების, ამ შემთხვევაში მოსწავლეების შეკრებას, გარდა ამისა, გუნდის ერთ-ერთი წევრი რუსთაველია და კარგად იცნობს ქალაქში მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს, რომლებიც აწუხებთ მოსწავლეებს სამოქალაქო ჩართულობის კუთხით.

რუსთავი პატარა ქალაქია, სულ რაღაც 38 სკოლით და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციით, რომლებიც ასე თუ ისე ცდილობენ აკეთონ სამოქალაქო აქტივობები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობებს არ აქვს მასშტაბური

სახე და მათში მხოლოდ ერთეული სკოლები არიან ჩართულები. ამის მიზეზად კი თავად სკოლა შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არ უწყობს ხელს საკუთარ მოსწავლეებს მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების მქონე ადამიანებად ჩამოყალიბებაში. მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიეთ პროექტის თემად ეს საკითხი მრავალფეროვანია.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ სკოლებში არარსებული სამოქალაქო აქტივობებიდან გამომდინარე მოსწავლეთა სრული უმრავლესობა არ არის ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში. მათ არ აქვთ ინფორმაცია ქალაქში არსებული აქტივობების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი პროექტის მიზანია, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება სკოლის მოსწავლეებში. რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ეს ყველაფერი?



კურსიდან „დემოკრატია და მოქალაქეობა“ სპეციალურად მოსწავლეთათვის შეირჩა ხუთი სალექციო თემა, ესენია:

1. სახელმწიფო და მოქალაქე;
2. ადამიანი და საზოგადოება/ხელისუფლება;
3. ქალთა მონაწილეობა სამოქალაქო აქტივიზმში;
4. ადამიანის უფლებათა არსი და ბუნება, დაცვის მექანიზმები;
5. მოქალაქის მონაწილეობა საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში, თანამონაწილეობის სახეები და პერსპექტივები საქართველოში.

აღნიშნულ თემებზე მოსწავლეებს ჩაუტარდათ ლექციები. ისინი შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ამავდროულად, სალექციო კურსი მათ შემდგომ გააქტიურებასაც შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერთმანეთისთვის სრულიად უცხო მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოება, მათი სოციალიზაცია და საერთო ინტერესების აღმოჩენა. რუსთავში არსებული 38 სკოლიდან (კერძო/საჯარო), პროექტში ჩართვის სურვილი 11 სკოლის VIII, IX და X კლსის 50-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტმა თავად მოსწავლეების მხრიდან მოწონება დაიმსახურა, გადავწყვიტეთ, რომ იგი არ ყოფილიყო ერთჯერადი ხასიათის, რისთვისაც მივიღეთ გადაწყვეტილება აღნიშნული სალექციო კურსი წაკითხულიყო სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა გეოგრაფები“ და არაფორმალური განათლებისა და სამოქალაქო აქტივიზმის ახალგაზრდული ცენტრი ,,ჭიკარტი'' და მასში მონაწილეობას იღებს ჩვენი გუნდის წევრი ნიკა ბასილაშვილი-მჭედლიშვილი.

პროექტის მიმდინარეობის დროს, თავისთავად იყო გარკვეული დაბრკოლებები, რომლებსაც შეეძლო რეალურად ჩაეგდო პროექტი და არ შემდგარიყო, თუმცა საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, რომ ჩვენი მიზანი განხორციელდა და შევძელით მოსწავლეთა დაინტერესება,

რაც გამოიხატებოდა ლექციებზე დასწრების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთაგან შემდგარმა ჯგუფებმა მოამზადეს პრობლემების პრეზენტაციები და ნათლად დაგვანახეს რუსთავში არსებული პრობლემები, მათ დასახეს მოგვარების გზები, ჩვენთან ერთად მოიფიქრეს კამპანიები, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში თუკი შევუდგებით მათი პროექტების განხორციელებას. მათი ჩართულობა ლექციების მსვლელობის დროს იყო მაღალი, რაც გამოიხატებოდა დისკუსიებითა და კითხვების სიმრავლით. ჯგუფური მუშაობა იყო ძალზედ ეფექტური და ნაყოფიერი. ვფიქრობთ, რომ ჩვენი სალექციო კურსი დაეხმარა მოსწავლეებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თუ არა მათი ნაწილი უნარ–ჩვევების შეძენაში და ცოდნის მიღებაში.

იყო აქტიური მოქალაქე არის რთული, მაგრამ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი.

ბოლოს მადლობა გვინდა გადავუხადოთ თითოეულ ადამიანს, ვინც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია სალექციო კურსების ჩატარების დროს, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორებს, რომლებიც კონსულტაციების სახით გვეხმარებოდნენ; აგრეთვე მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველა იმ ლექტორს და სტუდენტს, რომლებმაც გამონახეს დრო და ჩაატარეს ლექცია ჩვენი ბავშვებისთვის; მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ქალბაონმა თამარ ქარაიამ კურსის მსვლელობის დროს; „საქართველოს ახალგაზრდა გეოგრაფებს“, რომლებიც მოსწავლეებს მათ მიერ წამოჭრილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გზებს სთავაზობდნენ; რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს“.

გონების თვალი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროექტის ავტორები: *ანზორ შავგულიძე,*
მარიამ ჩირგვილაძე, ნათია გაბიანი,
უჩა გვენეტაძე
პროექტის ხელმძღვანელი: *ქეთევან კუხიანიძე*
2015 წელი

პრობლემა:

პრობლემატური საკითხის გამოსავლენად ჩავატარეთ გამოკვლევა ახალგაზრდებს შორის და ვთხოვეთ დაესახელებინათ პრობლემა, რომელსაც აწყდებოდნენ სკოლაში სწავლის პერიოდში. უმრავლესობამ გამოარჩია სასკოლო ბიბლიოთეკების ან მათში საჭირო ინვენტარის არარსებობა. გაირკვა, რომ პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა რეგიონებში. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც აქამდე რეგიონებში არსებულ სკოლებში სწავლობდნენ, საუბრობენ იმ პრობლემაზე, რომ ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა ლიტერატურის არარსებობის გამო ვერაფერს სწავლობდნენ, ვერ ეცნობოდნენ ლიტერატურას. საწყის ეტაპზე, გადავწყვიტეთ, პროექტის ფარგლებში დავხმარებოდით სიქთარვის საჯარო სკოლას, შეგვეტანა კლასგარეშე თანამედროვე ლიტერატურა, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებისა და მომავალი სტუდენტების თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და ზოგადად წიგნიერების დონის ამაღლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს პრობლემა და ფაქტიც, კერძოდ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ 2011 წელს განხორციელებული კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველ ბავშვებს წიგნიერების კუთხით საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი 488 ქულით შეფასდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს. კვლევის რეიტინგში პირველ ადგილზეა ჰონკონგი 571 ქულით, შემდეგ კი რუსეთი - 568, ანალოგიური მაჩვენებელი აქვს ფინეთსაც.

პროექტის მიზანი: „გონების თვალი“ არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კულტურულ საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლებას სკოლის მოსწავლეთათვის.
მიზნის მისაღწევად დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- წიგნის კითხვის საჯარო წრის ორგანიზება;
- სიქთარვის საჯარო სკოლის მოძველებული ბიბლიოთეკის კლასგარეშე ლიტერატურით მომარაგება;

- სამოქალაქო აქტივობების მოწყობა – კულტურულ - საგანმანათლებლო ცნობიერებისა და წიგიერების დონის ამაღლება სკოლის მოსწავლეებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან ვაწარმოეთ მოლაპარაკება

წიგნების მოძიებასთან დაკავშირებით, შეთანხმების შედეგად ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი ჭიჭინაძემ გამოგვიყო ადგილი ჩვენ მიერ შეგროვებული წიგნების დროებით შესანახად. რაც შეეხება წიგნების ყიდვის თანხებს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა კუპატაძემ წიგნების შესასყიდად გამოგვიყო თანხა. პროექტის ორგანიზატორებმა, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ იმ სკოლის მოსწავლეების სურვილი, რომლის დახმარებაც გვქონდა განზრახული და დამფინანსებელს გადავეცით როგორც მათ მიერ, ასევე ჩვენი რეკომენდაციითაც შერჩეული 100-მდე წიგნის სია, რომელთაგანაც შეძლებისდაგვარად შეძენილი იქნა წიგნები და გადაეცა სიქთარვის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში პროექტი წარვადგინეთ და ვაპირებთ თანამშრომლობას სამომავლოდ სხვა სკოლების დასახმარებლად თუკი მათი მხრიდანაც იქნება სურვილი. პროექტის ფარგლებში წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსთან“ და „ლიბრასთან“ მოლაპარაკებები ვაწარმოეთ. სამწუხაროდ, წიგნებით უფასოდ უზრუნველყოფა მათ არ შეეძლოთ, თუმცა დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში დაგვპირდნენ 15%-იან ფასდაკლებას. დაფინანსება მოვიპოვეთ აგრეთვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისგან მაისურების შეძენისათვის და გაფორმებისთვის.

პროექტის ფარგლებში ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ჩაატარა გამოკითხვა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, რომლის მიზანიც იყო დაგვედგინა თუ რომელი ნაწარმოების ავტორსა და ლიტერატურულ ჟანრს ანიჭებს უპირატესობას ახლანდელი თაობა. პროექტის პოპულარიზაციისათვის შევქმენით Facebook გვერდი (https://www.facebook.com/gonebistvali), სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია იხილოს ჩვენ მიერ განხორციელებული ქმედებების მიმოხილვა ფოტომასალასთან ერთად.

პროექტის სიცოცხლისუნარიანობა: ეს პროექტი არ იქნება ერთჯერადი და ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ თერჯოლის რაიონის სკოლების დახმარებას მსგავსი სახით. ჩვენი გუნდი მუდმივად განაგრძობს მუშაობას სოციალური ქსელის მეშვეობით, ხოლო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მზაობის შემთხვევაში შევძლებთ სიქთარვის სკოლის შედეგი გავიმეოროთ სხვა სკოლების შემთხვევაშიც.

ტრეინინგ-სემინარი: „ნატო – მითი თუ რეალობა?!“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

***პროექტის ავტორები**: ხატია ჩხვიმიანი,*

მერი ხიჯაკაძე, სალომე ხაბელაშვილი,

თეონა ჯინჭარაძე, მარიამ ერაძე.

***პროექტის ხელმძღვანელი:** თამარ ქარაია*

2016 წელი

ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხი ქართული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე, მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მსჯელობა ეფუძნება მთავარ, ფუნდამენტურ იდეას საქართველოს ევროპული მომავლის უალტერნატივობის თაობაზე, ასევე იმ ფაქტს, რომ უსაფრთხო, სტაბილური და დემოკრატიული გარემოს ფორმირება ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის გარეშე რამდენადმე მიუღწევადი და შეუძლებელიც კია. მხედველობაში მიიღება ნატოსა და ევროკავშირზე ქართული საზოგადოების ბუნდოვანი წარმოდგენები, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა პროექტის თემატური თუ პრაქტიკული ნაწილი. კერძოდ, ჩამოყალიბდა „ნატო – მითი თუ რეალობა?!“ ტრეინინგ კურსის პროექტი და მისი მეშვეობით რეალიზდა მცდელობა – უფრო მეტად ინფორმატიული გამხდარიყო ახალი თაობის წარმომადგენელთა შემეცნებითი სამყარო.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ახალი თაობის წარმომადგენლებს, კერძოდ კი ქარელის მუნიციპალიტეტის პირველი სკოლისა და გიმნაზიის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ინტერაქციული, დისკუსიის რეჟიმის შემცველი ტრეინინგ-სემინარები. ვეცადეთ უფრო მეტად ინფორმატიული გაგვეხადა მათი ცნობიერება და შესაბამისი ფაქტებით დაგვეტვირთა ის. პროექტის ჯგუფის წევრთათვის ამოსავალი პრინციპი იყო ყურადღების გამახვილება ისეთ ფაქტებზე, რომლებიც მოსწავლეთათვის აქამდე უცნობი და საგულისხმო იყო. ახალი თაობა განსაკუთრებით იმედის მომცემია ამ თვალსაზრისით, მათ შეუძლიათ ახალი ფურცლიდან დაიწყონ ნატო-საქართველოს ფორმატის განხილვა და ობიექტურად შეხედონ

საკითხს. ისინი ქვეყნის მომავალს ქმნიან, ამიტომ სხვა სად, თუ არა სკოლებში აღნიშნული ტრეინინგ კურსის ჩატრება განსაკუთრებით სასარგებლო იყო.

მოცემული პროექტი ქართული საზოგადოებისთვის საქართველოსა და ევროატლანტიკური სტრუქტურების ურთიერთობის უფრო სიღრმისეული წვდომისა და სტერეოტიპული აზროვნების ამოძირკვის აუცილებლობას გულისხმობს.

საჭიროა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის სურვილი თუ, პირიქით, ფობია შესაბამისი ინფორმაციითა და საფუძვლიანი არგუმენტაციით იქნეს გამყარებული და ამგვარად მოხდეს მენტალური წვდომა ქვეყნის ევროპული მომავლის აუცილებლობისა, სხვა სუბიექტების ჩარევისა თუ უხეში ინტერვენციის გარეშე.

პროექტის მიზანი სკოლის მოსწავლეებისთვის ნატოსა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ საგულისხმო ინფორმაციის მიწოდებასა და ადეკვატური პოზიციის ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევაა. ტრენინგების ბოლოს მათთვის ასე თუ ისე ცხადი უნდა გახდეს – ნატო მითია თუ რეალობა.

პროექტის განხორციელების ფაზა (10.06.2016)

პროექტის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში უშუალო კონტაქტი არ დამყარებულა სახელმწიფო სტრუქტურებთან, თუმცა აქტიურად ვსარგებლობდით მათი ვებგვერდებით (საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდები), რომლიდანაც მოპოვებული ინფორმაცია აღნიშნული ტრეინინგ კურსის თეორიული ნაწილის განვრცობას წაადგა. აღსანიშნავია, რომ ისინი სიღრმისეულ და ვრცელ წარმოდგენას გვიქმნიან ნატო-საქართველოსა თუ ნატო-ევროკავშირის ურთიერთობებზე, ამიტომ მათმა გამოყენებამ შედეგი გამოიღო.

Read and Connect !

პროექტის საწყისს ეტაპზე ვთანამშრომლობდით ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან,რომელთაც ტრენინგ კურსის „ნატო – მითი თუ რეალობა“ განხორციელებისას ფინანსური მხარდაჭერა და სხვა სახის გვერდში დგომა აღგვითქვეს. მათ გადმოგვცეს სახელმძღვანელოები და ბუკლეტები, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტის გიმნაზიისა და პირველი სკოლის მოსწავლეებს გადავეცით. ასევე, დაგვეხმარა თსუ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია, რომლებმაც დროშები გვათხოვეს რეკვიზიტების სახით ტრენინგის

მიმდინარეობისას გამოსაყენებლად. დახმარება ვთხოვეთ მთარგმნელობით ორგანიზაცია „რადარამს“, თუმცა წიგნების ახალი ტირაჟი ამ ეტაპზე არ აღმოაჩნდათ და სამომავლო თანამშრომლობა აღგვითქვეს.

ტრენინგ-კურსში მონაწილეობა ქარელის მუნიციპალიტეტის 20-მა მოსწავლემ მიიღო (გიმნაზია და პირველი სკოლა). ტრენინგი ქარელის გამგეობის სააქტო დარბაზში ჩატარდა (13:00 სთ-ზე დაიწყო და 16:00 სთ-ზე დამთავრდა). მოსწავლეები მე-10 კლასელები იყვნენ, მათ ორჯერ შევავსებინეთ კითხვარი ტრენინგის დაწყებამდე და ტრენინგის ბოლოს, იმისთვის, რომ ცხადი გაგვეხადა თუ რა გაიგეს და მიიღეს თუ არა რაიმე ცოდნა. ჩვენდა საბედნიეროდ, ძლიერ მოტივირებული და ინტერესიანი აუდიტორია დაგხვდა. ტრენინგი არ ყოფილა მონოტონური, ის ცოცხალი, ინტერაქციული და აქტიური ხასიათის იყო. მოსწავლეები ხშრად გვისვამდნენ კითხვებს, ჩვენც ასევე მოწიწებით ვთხოვდით პოზიციის დაფიქსირებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საბოლოოდ ერთხმად დაასკვნეს, რომ ნატო გამოკვეთილი რეალობაა.

ჯგუფის წევრები დიდ იმედებს ვამყარებთ ამ პროექტზე. ვფიქრობთ, მისი მეშვეობით გარკვეული წვლილი შეგვაქვს ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებაში ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით. ჩვენი სამოქალაქო ვალდებულებაა გამოვადგეთ ჩვენს სახელმწიფოს და მის საზოგადოებას საკუთარი რესურსების ფარგლებში.

ვფიქრობთ, ჩვენს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე მიზნის მიღწევა აბსოლუტურად შევძელით. ეს საბოლოო კითხვარის შედეგებითაც გამოიხატა. გარდა ამისა, ბავშვებმა განაცხადეს, რომ ბევრი საინტერესო და აქამდე ბუნდოვნად აღქმული ფაქტი მათთვის ნათელი გახდა და ნატოში გაწევრიანება ძლიერ რეალისტურად ჟღერს. მათ ისურვეს, რომ ინტენსიური ხასიათი ჰქონდეს ამგვარი თემატიკის ტრენინგ კურსებს.

ქარელის რაიონი სწორედ იმიტომ შეირჩა, რომ ამგვარი თემატიკის ტრენინგები ნატოს საინფორმაციო ცენტრის თქმით იქ არ ჩატარებულა.

კითხვარების რაოდენობრივი ანალიზი გვაჩვენებს, რომ თავდაპირველად მოსწავლეებმა კითხვების 54% იცოდნენ, ტრენინგის შემდეგ კი კითხვებზე სწორი პასუხი 72,5%-მა გასცა.

ჩვენი აზრით, ტრენინგმა თავისი როლი შეასრულა, იმედი გვაქვს ის შედეგს სამომავლო პერსპექტივაშიც გამოიღებს .

ჩვენი მიზანია აღნიშნულ პროექტს მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდეს. ვგეგმავთ სხვა რეგიონებიც ავითვისოთ და ახალ თაობას საგულისხმო ინფორმაცია მივაწოდოთ საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის შესახებ.